140
1984/2

ISSN 0132 — 5970

ჯორჯიანი

12
1984



ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სს რესპუბლიკისათვის ლენინის ორდენის გადაცემის დროს. გ. კიკვაძის, ა. რუხაძის და ო. თურქიას ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

მესამე ლენინის ორდენი საქართველოს დროშაზე

1984 წლის 17 ნოემბერს თბილისში, სახელმწიფო ფილარმონიის დიდ დარბაზში გამართული ზეიმის დროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე ტიხონოვმა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო დროშას მესამე ლენინის ორდენი მიამაგრა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებაში ნათქვამი იყო: „აღინიშნოს საქართველოს მშრომელთა მიერ სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში მიღწეული დიდი წარმატებები და რუსეთსა და საქართველოს შორის გეორგიევსკის მეგობრობის ხელშეკრულების 200 წლისთავთან დაკავშირებით დაჯილდოვდეს საქართველოს სს რესპუბლიკა ლენინის ორდენით“.

იმ წარმატებებში, ჩვენო პატარა მეგობრებო, რომლებზედაც ბრძანებაშია ნათქვამი, თქვენც მიგიძღვით მნიშვნელოვანი წვლილი. თითოეული კილოგრამი ჯაროი თუ მაკულატურა, ყოველი კალათა ყურძენი თუ ჩაის ფოთოლი, თქვენს მიერ დადგმული თივის ზვინი თუ თქვენგან გამოკვებილი ბოჩოლა ჩვენი სახალხო დოვლათის მნიშვნელოვანი შენაძენია.

ამიტომ ეს დიდი ჯილდო თქვენც გეკუთვნით. მაგრამ უნდა გახსოვდეთ: მიღწეულით დაკმაყოფილება მხოლოდ ვიწროჰორიზონტიანი კაცის თვისებაა. თქვენ კი, იმ ადამიანებმა, რომლებმაც 21-ე საუკუნეში ქვეყანა უნდა მართოთ, მხოლოდ ახალ-ახალ წარმატებებზე, მხოლოდ წინსვლასა და ზეაღსვლაზე უნდა იფიქროთ.

გამუდმებით უნდა ამრავლოთ მამათა და პაპათა წარმატებები. თქვენ ეს შეგიძლიათ!

17.7.36

ᲪᲝᲪᲮᲚᲘᲡ ᲛᲝᲬᲧᲣᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲛᲐᲜᲐᲜᲐ ᲒᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ
Თ. ᲪᲐᲒᲐᲠᲔᲚᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲔᲨᲘ

ᲒᲝᲠᲘᲡ პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეს მუშაობის დიდი და საინტერესო ტრადიციები აქვს, ქალაქში ამბობენ, „სასახლეგამოვლილ“ მოზარდს, ახალგაზრდაა უშეცდომოდ გამოარჩევ სხვებისგან საერთო განათლების დონითაც, ქცევის კულტურითაც, საზოგადოებრივი აქტიურობითაც და მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებითაც. ეს შეფასება უეჭველად მრავლის მეტყველია და ალბათ სასახლის კოლექტივისათვის არანაკლებ ძვირფასია, ვიდრე სასახლის აღზრდილების მიერ სხვადასხვა კონკურსებზე, დათვალიერებებზე, კონფერენციებსა და ოლიმპიადებზე მოპოვებული მრავალრიცხოვანი დიპლომები და სიგელები. ყოველ სექტემბერში, მას შემდეგ, რაც საზაფხულო არდადეგები დამთავრდება და ქალაქის სკოლების ცხოვრება ჩვეულ კალაპოტში ჩადგება, პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე ცოდნას მოწყურებული, თვალებში სხივჩამდგარი გოგო-ბიჭებით ივსება. მოდიან ძველებიც და ახლებიც. ისინიც, ვინც კარგა ხანია ამორჩია სათავისო წრე თუ კლუბი და ახლა ცოდნის არეს იფართოებს, სამომავლოდ ჩაფიქრებულ-ნაოცნებარია განსახორციელებლად საჭირო საფუძველს იმზადებს; ისინიც, ვისაც ჯერ ვერ გაურკვევია საკუთარი მისწრაფება-ინტერესები და სასახლეში მომუშავე წრეების საქმიანობის გაცნობის შემდეგ აპირებს არჩევანის გაკეთებას. აქაური პედაგოგები ერთნაირი სიხარულით ხვდებიან პირველებსაც და მეორეებსაც, ერთნაირი გულისყურითა და კეთილსინდისიერებით ეკიდებიან მათი აღზრდა-დაკვალიანების საპასუხისმგებლო საქმეს.

ამჟამად გორის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის 56 წრეში სასკოლო ასაკის ორი ათასამდე გოგო-ბიჭი მეცადინეობს. სასკოლო რეფორმასთან დაკავშირებით ტრადიციულ წრეებს წლევანდლიდან გამოყენებითი მათემატიკისა და ელექტრონიკის წრეებიც დაემატა. ნორჩი მათემატიკოსები, ძირითადად უფროსკლასელები, გამომთვლელ მანქანებს გაეცნობიან, ელექტრონიკის წრის წევრები კი საყოფაცხოვრებო ელექტრომოწყობილობის გამართვა-შეკეთებას ისწავლიან. სულ მალე სასახლის მუშაობაში კიდევ ერთი სიახლე დაინერგება — წრეების უმეტესობის საქმიანობას კვლევა-ძიებითი ხასიათი მიეცემა. ამასთან დაკავშირებით პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე გადაწყდა, თითოეული წრის საკონსულტაციოდ საზოგადოებრივ საწყისებზე მოიწვიონ შეფი — შესაბამისი დარგის ერთ-ერთი წამყვანი წარმომადგენელი. ნორჩ ტექნიკოსთა წრეს, მაგალითად, ასეთ დამხმარედ ქალაქის რომელიმე მოწინავე საწარმოს რაციონალიზატორი ეყოლება, ნორჩ ბიოლოგებს ბიოლოგიის გამოცდილი სპეციალისტი დაეხმარება რჩევა-დარიგებით და ა. შ. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს წამოწყება კარგ შედეგს გამოიღებს — ბავშვებს გაუძლიერდებათ ინტერესი კვლევა-ძიებითი მუშაობისადმი, გამოუმუშავდებათ შემოქმედებითი აზროვნება და მეცნიერული მუშაობის ჩვევები;

სასკოლო რეფორმის მოთხოვნა-

ᲔᲡ ᲒᲝᲠᲔᲚ ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲗᲐ ᲡᲐᲔᲡᲢᲠᲐᲓᲝ ᲐᲜᲡᲐᲛᲑᲚᲘ „ᲐᲘ ᲘᲐ“ ᲒᲐᲮᲚᲐᲕᲗ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲐᲚᲙᲐ ᲪᲙ-ᲘᲡ ᲓᲐ
ვ. Ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ
ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲗᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ
ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲜᲣᲠᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ
ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲗᲠᲘ
ᲡᲐᲑᲐᲭᲕᲝ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡᲐ ᲬᲚᲘᲡ ᲛᲐᲠᲢᲘᲡᲐᲜ 1926

ᲯᲘᲠᲜᲐᲚᲘ

12 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ 1984

ᲡᲐᲥ. ᲙᲙ ᲪᲙ-ᲘᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲘᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ
Ქ. ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮ. ᲡᲐᲮ. ᲠᲔᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ეროვნული
ბიბლიოთეკა



წრის ყოველ მეცადინეობას რაღაც ახალი მოაქვს ნორჩი ფიზიკოსებისათვის.

ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბის წევრებს ჩეხოსლოვაკიიდან თანატოლების საჩუქარი [illegible]

თა შესაბამისად უფრო განმტკიცდება და გაფართოვდება პიონერთა სასახლის კონტაქტები ქალაქის სკოლებთან, საწარმოებთან. აქედან გამომდინარე, გადაწყდა, სკოლებში პერიოდულად ჩატარდეს „სასახლის დღე“, რაც იმას ნიშნავს, რომ ერთ გარკვეულ დღეს ამა თუ იმ სკოლას ეწვევიან სასახლის მასწავლებლები და მეთოდისტები, ჩაატარებენ საქმიან თამაშებს, საუბრებს, სხვადასხვა წრის წევრები მოუთხრობენ თანატოლებს თავიანთ საქმიანობაზე, მოაწყობენ საკუთარი ნახელავის გამოფენებს, უჩვენებენ თავიანთ შემოქმედებას. ამგვარი ღონისძიება უთუოდ დაეხმარება მოსწავლეებს მათი ინტერესების გარკვევა-დადგენაში, სასახლის ცხოვრების გაცნობაში.

— მთელი ჩვენი მუშაობის მთავარი მიზანია ყოველმხრივ განვითარებული, პოლიტიკურად და იდეურად მომზადებული, მაღალი ზნეობრივი თვისებების მქონე, შრომისმოყვარე, პატრიოტ-ინტერნაციონალისტი მოქალაქეების აღზრდა, — მოგვითხრობს ქ. გორის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის დირექტორი რობერტ მაღლაკელიძე, — ამას ემსახურებიან სასახლის მასწავლებლები და მეთოდისტები, საქმისა და ბავშვების მოყვარული ადამიანები. გამოცდილ პედაგოგებს მხარში უდგანან ახალგაზრდები, რომელთა რიგებში, სხვათა შორის, ბევრია სასახლის აღზრდილიც. ახალგაზრდა პედაგოგების დასახმარებლად სასახლეში სისტემატურად ტარდება სემინარები, პრაქტიკაშია გამოცდილ მასწავლებელთა მეცადინეობებზე მათი დასწრება და ა. შ. საერთოდ, მეთოდური განყოფილება ძალზე აქტიურ საქმიანობას ეწევა. სასახლის მეთოდისტები ეხმარებიან სკოლების აქტივს, პიონერული კლასების დამრიგებლებს, პიონერხელმძღვანელებს, მილიციის ბავშვთა ოთახების ინსპექტორებს, პედაგოგორგანიზატორებს, სკოლის დირექტორის მოადგილეებს აღმზრდელობით დარგში, პედაგოგიური რაზმების წევრებს, უტარებენ მათ კონსულტაციებს, სემინარებს, საუბრებს.

წრეებიდან ყველაზე მრავალრიცხოვანია ჰუმანიტარული მიმართულების წრეები, თუმცა არც ტექნიკურ წრეებში გვყავს ცოტა ბავშვი, ბუნებრივია, აქ ბიჭები სჭარბობენ. მუდამ ბევრი მაყურებელია მხატვრული შემოქმედების წრეებში. სიამოვნებით ეწერებიან გოგო-ბიჭები ჩვენს სადისკუსიო კლუბში, ნორჩ მხარეთმცოდნეთა ააქალაქო კლუბში, ტურისტულ კლუბ „შატილში“. ნეტავ განახათ, რა ხალისით დადიან ბავშვები მეცადინეობებზე და როგორ დარდობენ, როცა ამა თუ იმ ობიექტური მიზეზის გამო გაცდენა უწევთ. კაცმა რომ თქვას, ეს არც არის გასაკვირი. ყოველ მეცადინეობას ხომ რაღაც ახალი მოაქვს ბავშვისთვის, რაღაცით ამდიდრებს მას.

დირექტორის სიტყვების ჭეშმარიტებაში თავადაც დავრწმუნდით, როდესაც სასახლეა კაბინეტები ჩამოვიარეთ. ნორჩი მხარეთმცოდნეები მომავალი რესპუბლიკური კონფერენციისთვის ამზადებდნენ მასალებს, ფოლკლორისტები ხელნაწერ ჟურნალ „წიქარას“ მორიგ ნომერს დასტრიალებდნენ, ჩეხი გმირის მ. სვობოდას სახელობის ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბის წევრები იმ დილით მიღებულ კორესპონდენციას არჩევდნენ, დრამატული წრის წევრები დიადი გამარჯვების 40 წლისთავისადმი მიძღვნილ სპექტაკლზე მუშაობდნენ, ახლად ჩამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყალიბებული ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „აი ია“ კი სკოლისგარეშე დაწესებულებების საკავშირო დათვალიერებისათვის ამზადებდა პროგრამას...

საინტერესოდ და ნაყოფიერად შრომობენ სასახლის თვითმმართველობის საბჭო, მოსწავლეთა სამეცნიერო საზოგადოება, ნორჩ მხარეთმცოდნეთა კლუბი „ლიახვი“, უფროსკლასელთა საქალაქო შტაბი „ტონთიო“, პიონერთა შტაბი „ცოდნის წყარო“. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მათში გაერთიანებული მოსწავლეები იღრმავებენ ცოდნას, ეჩვევიან დამოუკიდებელ მუშაობას, იმუშავებენ თვითდისციპლინას, ემზადებიან აქტიური საზოგადოებრივი ცხოვრებისა და საქმიანობისათვის.

არ ყოფილა შემთხვევა, რომ მოსწავლე ერთხელ მოსულიყოს პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში, ჩაბმულიყოს რომელიმე წრეში ან კლუბში და მერე მიეტოვებინოს იგი იმ მიზეზით, რომ აქ მოწყენილობა და უინტერესო ცხოვრებაა, ხოლო თუ ვინმე ასე მოქცეულა, თუნდაც ობიექტური მიზეზით, შემდგომში ძალზე უნანია, გული დასწყვეტია საქმის ბოლომდე მიყოლილების შემხედვარეს. რა თქმა უნდა, გულდასაწყვეტია, როცა შენი ტოლები უშენოდ მწვერვალს იპყრობენ და თვითონვე არქმევენ მას სახელს, (1982 წელს, საკავშირო პიონერული ორგანიზაციის საიუბილეო წელს, ქ. გორის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის აღსაზრდელებმა დაიპყრეს 3500 მეტრი სიმაღლის უსახელო მწვერვალი და მას „პიონერია-60“ უწოდეს); როცა შენს თანაქალაქელ გოგო-ბიჭებს აქტიური წვლილი შეაქვთ სასურსათო პროგრამის განხორციელებაში, შენ კი ვერა (ზაფხულობით სასახლის პიონერ-მოსწავლეები კარალეთის საბჭოთა მეურნეობას ხილის კრეფაში ეხმარებიან, ხოლო წლის განმავლობაში საჭმლის ნარჩენებს აგროვებენ, სპეციალურ მანქანას კი ეს ნარჩენები ყოველ ორშაბათს გააქვს მეურნეობის მეღორეობის ფერმაში); როცა შენი წვლილი არ ურევია იმ დახმარებაში, რასაც შენი ტოლები სურამის ბავშვთა სახლს უწევენ (გორის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე კარგა ხანია შეფობს სურამის ბავშვთა სახლს); როცა შენ მხოლოდ მსმენელი ხარ და სხვებთან ერთად ტაშს უკრავ სასახლეში აღზრდილ მუსიკოს-შემსრულებლებს, მომღერლებს, მოცეკვავეებს, მსახიობებს (დიდი მოწონებით სარგებლობს გიტარისტი ბიჭუნების, ანსამბლ „აი იას“, ბავშვთა თეატრის, ხალხურ საკრავთა ანსამბლის, ნორჩი დეკლამატორების, მოცეკვავეების ხელოვნება); როცა შენი თანაკლასელი ასე კარგად ერკვევა პიონერულ მუშაობაში და სხვასაც ეხმარება (სასახლეში მომზადებული პიონერ-ინსტრუქტორები არდადეგებზე პიონერულ ფორპოსტებში და საქალაქო ბანაკებში მუშაობენ)...

ამჟამად გორის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ოთხივე განყოფილების ცხოვრება-მუშაობა ფაშიზმზე გამარჯვების 40 წლისთავისთვის მზადების ნიშნით მიმდინარეობს. ამ დიდი თარიღისათვის სპეციალურ პროგრამებს ამზადებენ შემოქმედებითი წრეები, ახალ ექსპონატებს და მასალებს აგროვებენ წითელი კვალმაძიებლები, მოეწყობა შეხვედრები ომის მონაწილე თანაქალაქელებთან. გარდა ამისა, სასახლის აღსაზრდელები აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ ქალაქში ჩატარებულ ყველა საზეიმო ღონისძიებაში.

საინტერესო, გამამდიდრებელი და სასარგებლოა სასახლეში გატარებული ყოველი საათი თითოეული პიონერისა და მოსწავლისათვის. ასეთი იქნება იგი მომავალშიც, პიონერ-მოსწავლეთა ახალ-ახალი თაობებისათვისაც და ალბათ ისევ ისე ადვილად გამოარჩევენ ქალაქში „სასახლეგამოვლილებს“. ამის საწინდარია სასახლის კოლექტივის თავდადებული შრომა, საქმის ერთგულება და ბავშვების სიყვარული, რასაც არ შეიძლება წარმატება არ მოჰქონდეს.

ნორჩი მოცეკვავეები გულმოდგინედ ხვეწავენ თითოეულ მოძრაობას.

ეთნოგრაფიულ კუთხეს ახალი ექსპონატები შეემატა.

ყველა ეს ეთნოგრაფიული მასალა ნორჩების ხელით არის შეგროვილ-დამზადებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოცნების სიფრთილი მატარებელი

მ. ქარგარეთელი
გ. გოლემგიოვსკის ფოტო

წლევანდელმა პირველმა სექტემბერმა დიდი სიხარული მოუტანა ხაშურელ ბავშვებს. ხაშურში, ქალაქის ყველაზე მაღალ გორაზე — ზემო სერზე ამოქმედდა საბავშვო რკინიგზა.

ერიამულით აიგსო არემარე. უწყვეტნაკადად გაემართა დიდ-პატარა ზემო სერისაკენ. გოგო-ბიჭებს ერთი სული ჰქონდათ როდის დაიძვრებოდა კოხტა თბომავალი თავისი გაკრიალებული ცისფერი ვაგონებით, მაგრამ ჯერ საზეიმო მიტინგი შედგა. ნორჩებმა მშენებლებისაგან აქაურობის სიმბოლური გასაღები ჩაიბარეს. მერე ვეტერანმა რკინიგზელებმა გ. აბიაშვილმა და ვ. ელისაშვილმა ლენტი გაჭრეს და მატარებელში მიიპატიჟეს პირველი მგზავრები. ნორჩმა მემანქანემ, ხაშურის 25-ე საშუალო სკოლის მეოთხეკლასელმა მიხეილ მეტრეველმა მემანქანე-ინსტრუქტორის ზურაბ ბლუაშვილის გვერდით დაიკავა ადგილი და მხიარული მატარებელი სურნელოვან წიწვნარში გადებულ ლიანდაგს გაუყვა, ჩაუარა ხიდებს, ღია ესტრადას, სპორტულ მოედნებს, ლამაზ სადგურებს, გემოვნებით გაშენებულ კოხტა სკვერებს.

ეს მშვენიერი საჩუქარი ხაშურელმა მშრომელებმა საზოგადოებრივ საწყისებზე მოუმზადეს ბავშვებს. თავიანთი წვლილი შეიტანეს პარკის გამწვანება-გალამაზებაში ხაშურელმა მოსწავლეებმა, რაიონის კომკავშირელებმა და პიონერებმა. შაბათობებზე და მოცლის ჟამს ისინი მშენებლების მხარდამხარ მუშაობდნენ, რომლებიც მართლაცდა სანაქებოდ გაისარჯნენ. აქ ყველაფერს ფაქიზი გემოვნება, დიდი მონდომება და ბავშვების სიყვარული ატყვია. მოკლე ხანში აქაურობა ბავშვების საყვარელ ადგილად გადაიქცევა, კიდევ უფრო დამშვენდება ბავშვთა ეს ცეროდენა ქალაქი, რომელშიც მოუღლელად ივლის ყველაზე მხიარული და ხალისიანი ცისფერი მატარებელი.

კვამლი მოვდი

ალექსანდრე ლორია
მხატვარი ჯემალ ლოლუა

მოთხრობა

ბიჭს სისხლი შემოაწვა სახეზე. უეცრად უჩვეულო ენერგიის მოზღვავება იგრძნო. რაღაც უნდოდა ეთქვა ძალიან მწარე, მაგრამ გადაიფიქრა. გაისწორა ტანსათბურა, აიღო თავისი პილოტურა, დაიხურა და წავიდა. არც კი შემობრუნებულა გიგოსაკენ, ისე გაუყვა გზას. კარგად რომ გასცდა მანქანას, ძახილი შემოესმა:

— ბესო!.. ბიჭო, ბესო!..

შედგა. არ შემოტრიალებულა, მხოლოდ თავი მოაბრუნა უკან.

— ბიჭო!.. მართლა მტოვებ?.. კაცი არა ხარ?.. გული არა გაქვს?

ბესო შემობრუნდა.

—გული რომ მაქვს, იმიტომაც გევედრები, გამიგონე-მეთქი.

— გაგიგონებ, გაგიგონებ!.. — აჩქარებით დაეთანხმა გიგოლა, — ჯანდაბას, რაც გინდა მიყავი!.. მოდი, მიშველე. სულ გავიყინე, ბიჭო! ამას თუ გადავურჩი, მერე რაღა მომკლავს.

— გადაურჩები, ნუ გეშინია! — მოკლედ მიუგო ბიჭმა და ახლოს მივიდა. უკანიდან მოუარა, მხრებში შეუყარა მკლავები, გაჭირვებით წამოაყენა და მანქანის საფეხურზე დასვა. უსიამოდ შეათვალიერა ეს ვეებერთელა, ბავშვივით სასოწართმეული კაცი, — ოღონდ ცოტა უნდა აიტანო გასაჭირი... მოითმინო! ყველაფერი რიგზე იქნება! აი, ნახავ!

ძრავის გასაღები გამოიღო, გიგოს ცალ ჩექმაში განახევრებული არყის ბოთლი ჩადო, იღლიაში ამოიჩარა, მაგრად გამოიჯახუნა ორთავე კარი, მხარში შეუდგა თავის გოლიათ პარტნიორს და ორთავენი დიდი ვაი-ვაგლახით გაუდგნენ გზას.

სიარული ძალზე ჭირდა. მალიმალ ისვენებდნენ. ბიჭი ვერ უძლებდა სიმძიმეს და არაქათი ეცლებოდა. გიგო ხანდახან, სწორ გზაზე რომ გავიდოდა, ცალ ფეხზე ხტომა-ხტომით მიდიოდა, მაგრამ ნაღრძობი ფეხი უძიგძიგებდა, რაც მძიმე ტკივილს აყენებდა და გული უწუხდებოდა, თანაც უცებ იღლებოდა, გულამოვარდნილი ქშინავდა, ოხრავდა და კვნესოდა.

წვიმა ცოტათი შენელებულიყო, ოდნავ ცრიდა. მოსიარულენი ოფლად იღვრებოდნენ, მაგრამ მაინც ჯიუტად მიდიოდნენ ქვემოთ, ნასოფლარისაკენ.

ერთ ადგილას ბესომ თავისი დაბამბული ტანსათბურა გაიხადა, ძირს დააფინა და დიდი გაჭირვებით ზედ გიგო. თავად რაღაც ნანგრევებისაკენ გაიქცა და მალე მობრუნდა ერთი ჭუჭყიანი მოკლე ფიცრით. აქ ნაფარეხალი ყოფილიყო და ყმაწვილს ეს ფიცარი საჩეხისათვის აეგლიჯა, რომ საცოდავ გიგოს როგორმე ყავარჯნად გამოეყენებინა.

ამან საქმე წინ წასწია და მგზავრებიც ცოტა გამოცოცხლდნენ.

შუადღე იქნებოდა გადასული, რომ წვიმამ ისევ უმატა. მაგრამ ისინი აინუნშიაც აღარ აგდებდნენ ამას. უფრო მეტად ამოსვრა და დასველება აღარ შეიძლებოდა. მიდიოდნენ და მიდიოდნენ. ცოტას შეისვენებდნენ და ისევ განაგრძობდნენ გზას.

— ე ოხერი, — სული ელეოდა გიგოს, — ეს ნასოფლარი თითქოს აქვეა, ხელით მიწვდებიო, და აგერ რამდენი ხანია მოვეთრევით და ჯერაც ვერ მიგვიღწევია.

— ეგრე იტყუება მთა, — გაიღიმა ბესომ და ერთხელ კიდევ მისცა შესვენების ნიშანი.

ნასოფლარში რომ შევიდნენ, უკვე არაქათი აღარ ჰქონდათ. გიგომ შესთავაზა ბიჭს, პირველივე სახლის კარი გაეტეხათ, მაგრამ იმან შორს დაიჭირა ეს წინადადება. სხვისი სახლის კარის შემტვრევა ხომ სამუდამო მტრობაა, და გიგოსაც მეტი რა გზა ჰქონდა, ყორე-ყორე მიყვებოდა ბიჭს და უხმოდ წყევლიდა თავისი გაჩენის დღეს. მხოლოდ მაშინ მოითქვა სული, როდესაც ბესომ თავისი აჭედილი სახლის კარები გახსნა და ორივენი შიგ შევიდნენ უხმოდ.

მოზრდილ, იატაკმომპალ ოთახში საკმაოდ ბნელოდა. აქ უფრო ციოდა, ვიდრე გარეთ. ნესტიანი ქვის სუნი მძიმედ აწვებოდა ფილტვებს. აქა-იქ წვიმაც ჩამოდიოდა, იღვრებოდა იატაკზე და მერე სადღაც პოულობდა გასადენ ადგილს.

თვალები რომ სიბნელეს მიეჩვია, შედარებით უფრო სტუმართმოყვრულად გამოიხედა სახლმა. ბუხარში მირჩენილმა ნავლმა ხომ რაღაც უცნაური სითბო ჩააღვენთა გულს.

მცირე ხნით გაბრუებული ბიჭი მალე მოეგო გონს. სათბურას გულის ჯიბე მოქექა და ასანთი ამოაძვრინა. მოსინჯა, ხომ არ დასველებულაო. კმაყოფილებით გაჭკრა და ოთახში პაწია შუქი აციალდა, აკიაფდა და იმედი და ხალისი დაამკვიდრა უცებ.

გიგოლამ შუქზე დიდი, განიერი ნარი შენიშნა და იქით გაეშურა. მივიდა თუ არა, გულაღმა გაიშოტა ზედ. სიმძიმისაგან ტახტი აჭრიალდა. საოცრად ნეტარი, მახლობელი და ნაცნობი იყო ეს ხმა. ამ ჭრიალმა ისეთი შინაურული, ოჯახური გრძნობა გამოაღვიძა, რომ მოსულებს უცნაურად აუჩქროლდათ გული.

ბესო საქმეს შეუდგა. სადღაც გავარდა, ფიცრები და ბურბუშელა მოზიდა. ჯიბის დანით თხლად დათალა ფიჭვის ფიცარი და ბუხარში ცეცხლის გაჩაღებას შეუდგა.

ცეცხლი არ ემორჩილებოდა დაუპატიჟებელ სტუმრებს. თითქოს გაბუტულიყო კერა ასე უსულგულოდ მი-

---

დასასრული. იხ. „პიონერი“ № 9, 10, 11.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტოვებისათვის — იკვამლებოდა, ისრწოლვებოდა, უმადურად ბოლავდა.

ბოლოს, როგორც იქნა, ალი მოეჭიდა ხმელ ფიცარს და ცეცხლიც გაღვივდა, სითბო და სინათლე დატრიალდა სახლში.

— დააყარე, ბევრი შეშა დააყარე! — იხვეწებოდა გიგო და ბუხარს ეფიცხებოდა. ორ ძველ სკამზე გადებულ ჯოხზე გაფენილ სველ ტანსაცმელს ორთქლი აუვიდა.

ბესომ ერთ-ერთ ფანჯარას ზედ აფარებული ფიცრები ააცალა და ოთახში შუქი შემოიჭრა.

გიგომ გარეთ გაიჭვრიტა. ცას ახედა. აღარ წვიმდა, მაგრამ გამოდარებას პირი არ უჩანდა. ნაცრისფრად გადაბურულიყო მთელი ზეცა.

სამოსი რომ გაშრა და ჩაიცვეს, უფრო მეტი სილაღე იგრძნეს. გიგოლა ნებივრად გადაკოტრიალ-გადმოკოტრიალდა ტახტზე. რომ ფეხის ტკივილი არა, თავი სამოთხეში ეგონებოდა. რამდენი ხანია, ერთი ლაზათიანად არ გაუშლია ფეხი, გაწვართვა ენატრებოდა.

რომ გათბნენ, შიმშილიც მოაგონდათ. ბიჭი მაინცდამაინც არ წუხდა, მაგრამ, აბა, გესლო რა დღეში უნდა ყოფილიყო ამდენი ხნის უჭმელი? თავბრუ ეხვეოდა, მაგრამ რას იზამდა. ვინ იცის, აქ თაგვებმაც კი ამოიკვეთეს ფეხი, და კაცის გასაძღომს რას იპოვი?

— როგორმე რომ ეს უიღბლო გზა გაგვევლო და იმ ლაფში არ ჩავწოლილიყავით, ახლა ალბათ სითბოც გვექნებოდა და საჭმელიც.

ბესოს მწარედ გაეღიმა. ხუმრობანარევი ირონიით გაეპასუხა ოცნებებში წასულ კუჭამწვარ გიგოლას:

— ჩვენ რომ ქვემოთ გაგვეგრძელებინა გზა, ჩვენი საჭმელის რა მოგახსენო და, ჩვენ კი ნამდვილად გავხდებოდით ყვავ-ყორნების ულუფა.

— ვითომ რადა?

ბესომ თავჩაქინდრულმა გაიარ-გამოიარა, ეშმაკური ღიმილით სახეზე.

— რადა და, გადავცვივდებოდით სადმე... შენ რა გგონია, მე მანქანის ტარება მართლა ვიცი?

— ძალიან კარგადაც... არა, ხანდახან მოგდის უთავგზობა, მაგრამ ვინ არ ცდება?

— ასეთ გზაზე შეცდომის დაშვება დაღუპვაა.

— ყველაზე ძნელი გზა კი გამოგვატარე კარგად და... — არ ერწმუნებოდა მას გამოცდილი მძღოლი. — შენ, გეტყობა, ნატარები ხარ... მეც შენსავით ადრე ვისწავლე მანქანა. ათი წლისამ უკვე ყველაფერი ვიცოდი... ოღონდ ეგ იყო, თვრამეტ წლამდე უფლება არ მქონდა მიღებული... მამაჩემი შოფერი იყო და იმას დავდევდი... შენც ეგრე ალბათ, არა?

— არა, — ცივად მიუგო ბიჭმა.

— მა ვინ გატარებინებდა მანქანას?

— არც არავინ. უბრალოდ, ინტერნატში გვასწავლეს და ეგ არი.

— კარგი ერთი!.. — აიმრიზა შეფიქრიანებული გიგო. — დამცინი?.. მე არ ვიცი, რას სწავლობენ ინტერნატში?.. — ერთ-ორს გააგორებინებენ ბავშვებს და ეგაა.

— ჰოდა, — დაემოწმა ბიჭი, — მეც ეგრე ერთიორი გამაგორებინეს და ეგაა.

— რას ამბობ?!. მეტი არაფერი?!. — გაოგნდა ნაცადი და რის არამნახავი მძღოლი. — მა შენ მანქანა არ გიტარებია?

— პოლიგონს იქით არასოდეს გავსულვარ. პირველი ეგ იყო.

გიგოლამ შიშნარევი უნდობლობითა და ეჭვით შეათვალიერა ბიჭი. არ სჯეროდა, მაგრამ რატომ უნდა ეთქვა ტყუილი ბავშვს? მაშასადამე, მართლაც პირველად მოჰყავდა მანქანა და ისიც რა გზაზე!.. წარმოუდგენელია!.. თუ ასეა და, ბარაქალა! კაცი ვარო, მაგან უნდა თქვას!..

— ხომ ნახე, ძლივძლივობით მოვბობღავდი... ისე ვიყავი დაჭიმული, ლამის საფეთქლებზე ძარღვები დამსკდომოდა. კიდევ კარგი, იმ ტლაპოში ჩავჯექით, თორემ, ვიცი, შენ არ დამეხსნებოდი და ქვემოთაც წამაყვანინებდი იმ ხროტინა სატვირთოს. იქ კი ნამდვილად დავიღუპებოდით, ამას არ უნდა ლაპარაკი.

— რატომ, შე კაცო? — თანაგრძნობით გამოხედა ყმაწვილს გიგომ. — დავისვენებდით, როგორც კი ამ დაწყევლილ ლაფს გავცდებოდით და ცოტათ თუ ბევრად წესიერ გზაზე გავიდოდით. მერე თუნდაც ათჯერ დავისვენებდით, თავს კი არ მოვიკლავდით. საშიში აღარაფერი იქნებოდა და...

— ვერ წავიყვანდი, — დაჯერებით განაცხადა პატარა მძღოლმა. — დაღლა ერთია, რწმენა კი მეორე. დარწმუნებული ვიყავი, ბორცომდე უეჭველად მივიდოდი, იმის იქით კი ვერა.

გიგომ დაკვირვებით ჩახედა თვალებში ბავშვს, თითქოს ნათქვამის უკეთ განმარტებას ითხოვსო. ბესო მიუხვდა ამას და ამიტომაც იყო, დაუმატა:

— როგორც კი ჩაეფლო მანქანა, თითქოს რაღაცამ ჩამკრა თავშიო, სულ გამოვიცვალე. ყველაფერი დამავიწყდა, სულ დავკარგე გაბედულება და ჩავლილი გზის შიში ისე ამეკვიატა, ცახცახი დამაწყებინა, თითქოს ეს ხიფათი გავლილი კი არ იყო, წინ მედო. პირდაპირ თავში ჩამეჭედა, რომ, გინდა თუ არა, მხოლოდ და მხოლოდ ამ ჩვენს ნასოფლართან უნდა ჩაგსულიყავით და მეტი არა. მართალი გითხრა, თითქმის წინასწარვე საამისოდ ვიყავი განწყობილი, რომ ასე უნდა მექნა... შენ არ დაიჯერებ და მე ეს სიზმარშივე მითხრეს.

— როგორ თუ სიზმარში? — ვერ გარკვეულიყო გიგო.

— წუხელ, ქარბოსელას ქედზე რომ მეძინა, სიზმრად დედაჩემი ვნახე. როცა რამე მიჭირს, ყოველთვის ვხედავ ძილში. ვითომ მომკიდა ხელი, გადმომიყვანა მანქანიდან და აი, აქ მომიყვანა. ერთი დიდი სანთელი აანთო, მთლად გადაანათა აქაურობა. მერე ე, მაგ ნარზე დამსვა და მითხრა: შვილო, აქ უნდა მოხვიდე უეჭველად, ამის იქით შენი ფეხი არ ვნახო გადგმულიო.

— რას მეუბნები?! — გაუფართოვდა თვალები გიგოლას, — მაშ, ამის იქით არ წახვიდეთო?

— გზაც რომ ყოფილიყო, ვერ წავიდოდი. ისეთმა

შიშმა და თავისი თავის უნდობლობამ ამიყოლია, უეჭველად გადავცვივდებოდით სადმე.

გიგოლამ დარწმუნებით ჩააქნია თავი:

— ჰო-ოო!.. ალბათ მართლაც კარგი ვქენით, რომ არ წავედით. თუ მშვიდობით ჩავედით, მაგ სიზმარს უნდა ვუმადლოდეთ. დედაშენს რომ ნახავ, მადლობა უთხარ უეჭველად.

ბიჭი ჩაფიქრდა. მცირე დუმილის შემდეგ თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკო, ისე თქვა:

— დედა სადა მყავს! — და შებრუნდა. შეშა შეუკეთა ცეცხლს. არ უნდოდა, ამაზე ხმის ამოღება, მაგრამ სტუმარმა თავი არ გაანება:

— დიდი ხანია დაკარგე? — მორიდებით ჰკითხა და პასუხს დაელოდა.

ბიჭი უგემურად აიწურა. თითქოს თავს ძალას ატანსო, ისე ჩაილაპარაკა უმისამართოდ, სასხვათაშორისოდ.

— დედაჩემი ჩემს გაჩენას გადაჰყოლია... — და დადუმდა. ცეცხლის პირას ჩამოჯდა გიგოსაკენ ზურგშექცევით.

ოთახში ალის ბრიალი და შეშის ტკაცატკაცი ისმოდა... კიდევ კარგი, თორემ გიგოლას გულის ბაგაბუგს რა გაუძლებდა. ისიც კარგი, რომ ზურგშექცევით ზის მისგან ეს ბიჭი, თორემ ამოდენა კაცის თვალებზე მოწოლილ ცრემლებს ხომ დაინახავდა?..

მდუმარებამ დიდხანს გასტანა. შეშა მთლად მიიწვა ბუხარში. ბიჭი კი ზის ცეცხლის პირას ნახევრად მთვლემარე. ბუხრის გვერდით დაწყობილი შეშაც გათავებულა, ერთი ნაფოტიღა აგდია მხოლოდ.

გიგოლა წყნარად წამოდგა. „ყავარჯენი“ მოიმარჯვა და რამდენადაც შეეძლო, უჩუმრად გავიდა წინკარში, სადაც შეშა იყო დამარაგებული. იღლიაში ამოიჩარა რამდენიმე ნაპობი და ოთახში ჩუმადვე შემობრუნდა. უნდოდა ბუხართან დაეწყო როგორმე უხმაუროდ, მაგრამ ერთ-ერთი ნაჭერი ჩამოუვარდა და ხმაურმა ბიჭი გამოაფხიზლა.



ბესო უცებ ვერ გაერკვა, რაში იყო საქმე. რომ დაინახა, შეწუხებული და საქციელწამხდარი გიგოლა როგორ უკეთებდა ცეცხლს, თავად დაფაცურდა:

— შენ რაზე შეწუხდი, კაცო, მე აქ არა ვარ?

მაგრამ გიგოლა კატეგორიულად არ ანებებდა:

— არა, მეც გამაკეთებინე რამე... მართლა ხეიბარი კი არა ვარ... ბოლოსდაბოლოს, ფეხის ტკივილი რაღა დარდუბალაა?.. მომირჩება, მა რა იქნება?.. შენ ძალიან დაიღალე, ბიჭო!.. იქნებ წამოწვე!.. ჰა, არ დაისვენებდი?.. — მზრუნველი დიასახლისივით ქოთქოთებდა ამოდენა კაცი.

— არა, ძილი არ მინდა, — წამოხტა ბიჭი, წელში გასწორდა, გამოფხიზლდა. — გავივლ-გამოვივლი აქ-



ვე. აღარ წვიმს. ვნახავ, რამე ხომ არ მოჩანს სასიკეთო.

— კი მაგრამ, შენ მგონი მწყემსებში გასვლას აპირებდი? — გაუბედავად შეახსენა გიგოლამ. — გადაიფიქრე?

ბესომ ხალისიანი, გაცისკროვნებული, იმედიანი თვალებით შეხედა თავისი ძველი სახლის სტუმარს. და ღიმილით დაემოწმა:

— ჰო, მაგრამ გადავიფიქრე. არ ღირს, — ფანჯარაში გაიჭვრიტა და მიდამო შეათვალიერა. — შეუძლებელია, აქ ახლომახლო მთებზე ჩვენებურების ცხვარი ან ნახირი არ იყოს სადმე. მწყემსები როგორ ვერ დაინახავენ, ამოდენა კვამლი რომ ადის ჩვენი ბუხრიდან?.. ნასოფლარში რომ ბუხრის კვამლი ავარდება, თუ აქაურია ვინმე, გული როგორ დაუდგება, მაშინვე არ ამოვარდეს აქ და არ გაიგოს, რაშია საქმე?.. — დაიხურა თავისი პილოტურა და გარეთ გავიდა.

გიგოლა ბუხარს მიუჯდა. მიაფიცხა ცეცხლს ნატკენი ფეხი და თითქოს ცოტა შვება იგრძნო. რატომღაც თანდათან დაამების ნაცვლად უფრო და უფრო ემატებოდა ტკივილი და ეს აწუხებდა, რამე არ გამირთულდესო. მოიკრიბა ძალა და თავად შეიხსნა ნახვევი, მოისინჯა შესივებული კოჭი, მსუბუქად დაიზილა. კვლავ დაასველა საფენი არაყში და დაიდო. ახლა უფრო გათამამდა, რამდენადაც შეიძლებოდა, მაგრად დაიხვია ხილაბანდი და თასმით გაკვანძა. არყის ბოთლი იატაკზე დარჩა თავღიად. ძალაუნებურად ხელი წაავლო და პირთან მიიტანა, მაგრამ შიმშილისაგან გასავათებულს აღარ ეამა არყის სუნი, მით უმეტეს, დასაყოლებლად პურის ნამცეციც კი არ იყო, და ისევ დადგა ბოთლი უგემურად. კორპი დაარჭო, ხელისგული დაჰკრა და ისე დახუფა, თითქოს მის დღეში იმის გახსნას აღარ აპირებსო.

თავბრუ ესხმოდა. შიმშილი თავისას შვრებოდა. გრძნობდა, თანდათან როგორ ეცლებოდა ძალა. შიშიც მოეძალა. ვინ იცის, როდემდე მოუწევს აქ ჯდომა და ამ უკაცრიელ მთებში ვიღაც მადლიანის ლოდინი.

ფანჯარაში გაიხედა. თითქმის მთელი დღე გასულიყო. საღამოსკენ ექნა პირი ქვეყანას.

მწარე ფიქრებმა შეიპყრო.

ბესოც უხალისოდ შემობრუნდა. უგემურად შეუკეთა ცეცხლს და ჯორკოზე ჩამოჯდა. გიგომ თანაგრძნობით შეათვალიერა იგი. პატარა, კაფანდარა ბიჭი დიდი კაცივით ჩაფიქრებულიყო, შუბლშეკრული და თვალებმოწკურული. მოულოდნელად ისეთი მახლობელი, საყვარელი და მშობლიური მოეჩვენა ეს ბიჭი, თითქოს გუშინ კი არ გაიცნო, დაბადებიდან ერთად ყოფილიყვნენ შეთვისებულნი.

— ბესო! — საოცრად თბილად, მოფერების მაგვარად შეეხმიანა ბიჭს, — რამდენი და-ძმანი ხართ?

ბიჭმა გაკვირვებით შემოხედა, რაში დასჭირდა ახლა ეგო, და ფიქრიანად გაეპასუხა:

— მარტოი ვარ მე.

გიგოლა უცბად გამოცოცხლდა, თითქოს გაუხარდა ეგ ამბავი, გულითადად ალაპარაკდა:

— ჰოდა, ენგრე!.. დღეიდან ძმები ვიყოთ!.. თუ გინდა, ძველებური წესით დავძმობილდეთ... თქვენებს კარგად ეცოდინებათ ეგ როგორც უნდა. მე შენი უფროსი ძმა ვიქნები, შენ — უმცროსი.

ბესოს მზით აევსო თვალები. დიდხანს მისჩერებოდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გესლოს მღიმარი, თითქოს უკვირდა, ამას ეგეთი რამ როგორ შეუძლიაო. მერე ჩაეცინა, ხუმრობით ჩაილაპარაკა, ვითომც თავისთვისო:

— ჰო, კარგია რა, უფროსი ძმა... დღეში ორ-სამჯერ რომ გაგილაწუნებს ყურის ძირში.

გიგოლა უხერხულად შეიშმუშნა, უგერგილოდ აწრიალდა, დამნაშავესავით აარიდა თვალი ბავშვს. ისეთ დღეში ჩავარდა, შუბლზე ოფლის წვეთებიც კი დაასხდა. ხელისგულით მოიწმინდა და ლუღლუღით, არეულ-დარეულად ალაპარაკდა:

— ეგა, ბიჭო... არა, ეგა... მართლა ენგრე კი არ არის საქმე... არა, ხანდახან კი, მაგრამა... ეგა ათასში ერთხელ... სხვა დროსა იმ ჩემს პატარა ძმას ზედ არ ვაკვდები, კაცო? სუ იმის საქმეს არ ვაკეთებ?... აბა, ბიჭები წყალზე საბანაოდ წაგვიყვანეო, აბა, ლაშქრობაზე მოგვეშველეო... აბა, სკოლის ჯართი გაგვიზიდეო, აბა ესა და ეს ხელსაწყო გაგვიმართეო, სუ მე არა ვარ, კაცო? — მერე უცებ ისევ გამოცოცხლდა, უფრო ენერგიულად შეუნთო ცეცხლს. — რას ამბობ, ბიჭო, ჩემი მზე მისით არ ამოდის?.. იმის უკეთესი და საყვარელი რა მყავს?.. გეფიცები, შენაც ენგრე მეყოლები!.. ხელი გახლო კი არა, ნეტავ ვინმე რამეს გაგიბედავდეს და მეტი არაფერი მინდა!..

გიგოლას გულწრფელად უელავდა თვალები, პირდაპირ მისჩერებოდა ბიჭს ისეთი გამომეტყველებით, თითქოს იმის პასუხზე ყოფილიყოს დამოკიდებული მისი ავიცა და კარგიც.

ბესომ მაშინვე იგრძნო ეს. გულწრფელობას ახსნა რად უნდა, და მანაც ალალად გაუშვირა ხელი საძმოდ:

— ეგრე იყოს, გიგოლა, ძმები ვიყოთ!

გიგოლა სიხარულით შებრუნდა. ხტუნვა-ხტუნვით მივიდა ტახტთან, ნასიამოვნები და გაბადრული დაჯდა. ამ წუთს აღარც ტკივილი ახსოვდა და აღარც შიმშილი. გული უჩვეულო სითბოთი ევსებოდა.

ისინი უსიტყვოდ, მდუმარედ შეჰყურებდნენ ერთმანეთს, როგორც შეფიცულები, როგორც ერთი რაღაც დიდი გრძნობის თანაზიარნი.

უცებ ბესოს სახე გამოეცვალა, გაქვავდა. კურდღელივით ცქვიტა ყურები. გაინაბა. გიგომ უმალ იგრძნო ეს ცვლილება და გაკვირვებით მიაჩერდა მას.

ელვის სისწრაფით წამოვარდა ბესო. ფანჯარას მიაწყდა, დაკვირვებით გაიხედა მცირე ხნით, მერე უსიტყვოთ მოსწყდა ადგილს და კარში გავარდა.

გიგო უძრავად დარჩა ტახტზე. მისჩერებოდა მოხურულ კარს, რომელსაც ასე აფორიაქებული ბიჭი მიეფარა და ცნობისმოყვარეობით ანთებული ელოდა იმის გაგებას, თუ რა მოხდა, რა გაიგონა ასეთი ბიჭმა, უცებ რომ გახტა გარეთ.

სწორედ ამ დროს იფეთქა კარმა და სახეალეწილი, ბედნიერი, გახარებული ბესო შემოვარდა. სულს ძლივს ითქვამდა:

— გითხარ თუ არა?.. გითხარ თუ არა?.. მოდიან!.. მოდიან!.. ჩვენები მოდიან!.. ბიძაჩემიც არის, ჩემი მამის მაგიერი, სწორედ ის, ამ სახლში რო გამზარდა. ჩვენ ნათლიაც, მისი უფროსი ბიჭიც... ყველაზე წინ მი მორბის... შორსაა, მაგრამ მაინც ვიცანი სიარულზე... მოკლეთი მოდიან... ისინი არიან!.. ისინი!..

ორივენი გარეთ გავარდნენ და ყორეს გადაადგნენ. აქედან გარკვევით მოჩანდა ფერდობი, რომელზედაც რამდენიმე კაცი ამოდიოდა. ძლივს მოიწევდნენ სველ ბალახზე, ფეხი უცურდებოდათ...

— ხომ გითხარი!.. ხომ გითხარი!.. — სიხარულით იძახდა ბესო და ერთ ადგილზე ხტუნავდა.

გიგო შესცქეროდა მომავალთ და ისე დამანჭოდა სახე, ვერ გაიგებდი, ტირის თუ იცინისო.

— მოდიან!.. მოდიან!.. — მთრთოლვარე ხმით იმეორებდა ისიც ერთსა და იმავეს და უნებურად თვალზე მომდგარ ცრემლს მალულად იწმენდდა.

— დალახვროს ეშმაკმა!.. — გული ჩიტივით უცემდა ამოდენა კაცს. — ე ცრემლი კიდევ რიღასი მაქნისია?.. ტირი თუ რა, შე დალოცვილო?.. ა, ტირი?.. ჰაი, ჩაქრი, გესლოვ, შე ავყიავ!.. ტირილიც გცოდნია განა?..

ბიჭი ყორეზე შეხტა და წითელი პილოტურა ააფრიალა. ქვემოთურებმა დაინახეს, ხელი დაუქნიეს... ალბათ იცნეს კიდეც, რაღაც გადაულაპარაკეს ერთმანეთს, ნაბიჯს მოუჩქარეს. იმდენად ახლოს არიან, რომ გარკვევით ისმის მათი ხმები.

მოდიან, მოიჩქარიან, კეცავენ მანძილს და უახლოვდებიან ნასოფლარს. გარკვევით ხედავენ ყორეზე შემდგარ პატარა ბიჭს, რომელსაც წითელი პილოტურა უჭირავს ხელში, აფრიალებს და მათ ელოდება. მის უკან კი ძველი, მამაპაპისეული სახლიდან სულში სიამის აღმძვრელი ბუხრის კვამლის სვეტი სულ მაღლა მიიწევს და ცაში უჩინარდება.

საახალწლო ზღაპარი

გიორგი ჭიჭინაძე

მხატვარი ედ. ამბოკაძე

ათასფრად აკიაფებული ნაძვის ხის მაღლა, ტოტებზე ასეთი განცხადებაა გამოკრული: „გულბოროტებს საახალწლო ზეიმზე არ ვლებულობთ! გაუმარჯოს კეთილ მეგობრებსა და მშვიდობას ტყეში!“ დარბაზში შემოდის ქალ-ვაჟი, შემოაქვთ ვეება წიგნი, რომლის ყდაზე მწვანე ასოებით წერია: ნაძვნარა ტყის ზღაპარი.

ქალი — ვიდრე ჩვენს ზღაპარს
გიამბობთ,
თქვენგან ერთ რამეს ვითხოვთ.
ვაჟი — წარმოვიდგინოთ
სუყველამ,
აქ დიდი ტყეა ვითომ...
ქალი — ეს ხტუნიების ველია,
ბაჭიების და ციყვების.
ხომ ხედავთ, სტუმრებს ელიან,
ჩვენც მალე მათთან ვიქნებით.
ვაჟი — მანამ კი მშვიდად
ველოდოთ,
არაფერი გვაქვს საჩქარო
და პატარების საამოდ
ზღაპრული წიგნი გავშალოთ...

ისმის ჯადოსნური მუსიკა, რომლის დაწყებისთანავე უკანა ფონი განათდება და ნაძვის ირგვლივ აქამდე ჩუმად მოღიღინე ყურცქვიტები და ციყვებიც ხმამაღლა ამღერდებიან. მერე კურდღლებსა და ციყვებს ცანცალა, ცხიკუნა და ცქვიტა გამოეყოფიან, საუბრით წინ, მაყურებლისკენ მოემართებიან.

ცანცალა — აბა, მარდად, ჩემო
ცქვიტავ,
მოირბინე მთა და ველი,
ყველა, ყველა გააფრთხილე,
საახალწლოდ ვისაც ველით.
შუადღეზე ყურცქვიტები,
ნაძვი რომ დგას მოხსენებულ,
გამოცხადდნენ ზუსტად სამზე!
ამ მოსაწვევს ვიდრე მისცემ,
ყველაა, ცქვიტავ, უცნობ-
ნაცნობს
შეეკითხე, საახალწლოდ
რით გაგვართობს...
ბანცალა, ცხიკუნა — ჩვენც
გავყვებით რა, დედილო,
საყვარელო და კეთილო...
ცანცალა — არა, თქვენ აქ
დამეხმარეთ,
ვერ გაგიშვებთ, ვერა, გარეთ!
საჩუქრები გავამზადოთ
და ცქვიტუნაც მოვა მალე.

ბანცალა და ცხიკუნა ძირს გაგორდებიან, ფეხებს იქნევენ და ჭყავიან.

ბანცალა — არა, ჩვენ აქ არ
დავრჩებით,
ტყეში სირბილს ვართ ნაჩვევი.
რაღას ვნახავთ სხვას უკეთესს—
შეხე, როგორ ბრწყინავს
თოვლი!
თხილამურებს გავიკეთებთ
და წინ, ჰერი, ქროლვა-
ქროლვით!
ცანცალა — შენ კიდევ, ჰო, ეს
ბაჭია,
რომ აცხიკებს წარამარა?
ცხიკუნა — იცი, რისი ბრალი არი,
შინ რომ ვგდივ... წავალ, კმარა!
ცქვიტა — კარგი, დეიდ,
წამოვიდნენ,
რას ატირებ ამ კარგ ბიჭებს...
ცანცალა — მეშინია, ამათ სადმე
რუხი მგელი გამოიჭერს.
შენ მარდი ხარ, ხეზე ახვალ,
თქვენ რას იზამთ?
ცხიკუნა — გავიქცევით...
ბანცალა — რუხი მგელი კი არა და,
ყურს ვერ მოგვჭამს
ბაყბაყდევიც!
ცქვიტა — წავალთ, წავალთ.

(ორთავეს წამოაყენებს)

ცანცალა — კარგი, წადით
და დაბრუნდით ისევ მალე!
ბანცალა, ცხიკუნა (აცეკვდებიან)
— უხ, რა კარგი დედილო
გვყავს,
დივლი, დივლი, დივლიდალე!

ცქვიტა, ბანცალა და ცხიკუნა თხილამურებს იკეთებენ და სრიალ-სრიალით წინ გამოდიან.

ცქვიტა (მღერის) — გამოვისხით
უკვე ფრთები,
მერცხლებივით გავფრინდებით.

უეცრად ბუჩქნარიდან მელიები — უკუდუნა და კუდუნა გამოჰყოფენ თავებს.

უკუდუნა — ხედავ, აგერ, იქ რომ
ხტიან —
კუდმოკლე და კუდაგრძელი?

კუდუნა — ვხედავ. დედი, ვინ
არიან?

უკუდუნა — ციყვია და კურდღელი.

კუდუნა — მესამე რომ უდგათ
გვერდით?

უკუდუნა — კურდღელია ისიც.
დახე, როგორ სეირნობენ
ტყეში დღისით, მზისით!
ისე ძლიერ გათავხედდნენ,
არავისი ერიდებათ!
მე მოვუვლი მაგათ, შვილო,
დღეს, როგორც კი
შებინდდება.
ახლა გასწი, შეეხვეწე.
მოსაწვევი მოგვცენ ერთი.
ოღონდ ჩემზე ნურას ეტყვი,
შენთვის გინდა ვითომ,
შენთვის.
გესმის?

კუდუნა — მესმის...

უკუდუნა — იეშმაკე,
შეაბრალე თავი ცეტებს...

(უჩვენებს, როგორ უნდა შეაბრალოს თავი)

...შემიბრალეთ ხეიბარი,
მოწყალება გაიმეტეთ!

კუდუნა — მივხვდი, დედი.

უკუდუნა — აბა, მარდად,
თორემ ძლიერ დაგვიანდა!..

უკუდუნასა და კუდუნას თვალს მოჰკრავენ ბანცალა, ცხიკუნა და ცქვიტა და ბუჩქს ამოეფარებიან.

ცქვიტა — მელიები!

ბანცალა — ვაი, დედა!

(შიშით კანკალებს)

ცხიკუნა — აკი უშიშარი ვარო?

ბანცალა — ჩქარა, ჩქარა,
თოვლში ჩავძვრეთ,
თავზეც თოვლი წავიყაროთ!

(ბუჩქნარში გაუჩინარდებიან)

კუდუნა — ჰეი, ჩემო ძმიებო!
თხილ-კაკალ-ატაფილოჭამიებო!

კუდუნა დამფრთხალ ხტუნიებს დაეძებს. უეცრად ცხიკუნას ცხვირის დაცემინების ხმას გაიგონებს და შედგება.

კუდუნა — რას ტირით, რამ
შეგაშინათ?!

ბანცალა, ცხიკუნა — თოვლმა
აგვიწვა თვალები.

კუდუნა — მე თქვენი მტერი როდი
ვარ,
ნეტავი რად მემალებით?

ცქვიტა — ამან, ვინ უნდა შეეჭამოს,
შეხედეთ ერთი, რასა ჰგავს!

ცხიკუნა — ეგ იმ მელიას შვილია,
ჩვენ რომ არ გვაძლევს
გასაქანს.

კუდუნა — კი, იმ მელიას შვილი
ვარ
და გეტყვით დაუფარავად:
არც მამაა ვგავარ, არც დედაა,
ქათმიჭამია არა ვარ.
ჰა და ჰა, მარტო კალიებს
და კოლოებს თუ გავკრავ
კბილს.
მხოლოდ ამისთვის თუ დამსჯით,
თორემ არა მაქვს სხვა ნაკლი.

ცქვიტა — მოკლედ მოსჭერი, რა
გინდა?

კუდუნა — რა და, ეგ ჭრელი
ბარათი,
ნაძვისხეზე რომ გეწვიოთ
და ავისრულო ნანატრი.

ცქვიტა — გვითხარი, ასეთს რას
ნატრობ?

კუდუნა — მსურს ვილხინო და
გავერთო...

ცქვიტა — არა, ჩვენ
ქურდბაცაცებთან
არაფერი გვაქვს საერთო!

კუდუნას სამთავენი ზურგს შეაქცევენ და მარტო მიატოვებენ. უკუდუნა შეწუხებულ შვილს გვერდით ამოუდგება.

კუდუნა — გაიგე, დედი, რა
მითხრეს?
გული აულ ბოღმით ამევსო.

უკუდუნა — რაო?

კუდუნა — ზეიმზე არ ვიწვევთ,
თქვენნაირ ქურდბაცაცებსო!

უკუდუნა — ერთი შეხედე მაგ
ცეტებს,
რარიგად გაგვითამამდნენ!
ზეიმი სამ საათზე აქვთ?
ჯერ დიდი დრო გვაქვს
მანამდე...

კუდუნა — რა მოიფიქრე, დედიკო?

უკუდუნა — ახლავე დევთან
გავვარდეთ!

(გარბიან)

ტყიუსპირას ძუნძულა და დათუნა დრუნჩა გამოჩნდებიან.

ძუნძულა (ღიღინებს) — აბლი-
ბაბლი! აბლი-ბაბლი
გვიყვარს თაფლი... კიდევ?

დრუნჩა — წაბლი!

ძუნძულა — კიდევ?

დრუნჩა — შინდი!
ჩუ! **(ტყეს აყურადებს)**

ძუნძულა — რა მოხდა? რად
შეშინდი?!

ბანცალა, ცხიკუნა და ცქვიტა სიმღერით შემოდიან.

ბანცალა, ცხიკუნა — ყველა
გვიცნობს
ჩვენ ორ კურდღელს,
ჭკვიანსა და მუხლმოუღლელს...

ცქვიტა — და ხტუნია ციყვუნიას,
ფრთამალს, როგორც დილის
ნიავს.

ბანცალა, ცხიკუნა — დათუჩებო,
საახალწლო
მოსაწვევებს ვიდრე მოგცემთ,
გვსურს ვიცოდეთ, რა
ნომრებით
დაამშვენებთ დღეს ჩვენს
კონცერტს?

ძუნძულა — ჩვენ სპორტი გვიყვარს
დათუნებს,
ხელს არაფერი არ გვიშლის,
ცნობილი სპორტსმენები ვართ,
ვიცით კრივი და ვარჯიში.

გაისმის მუსიკის ხმა. დათვები ასრულებენ სპორტულ ნომრებს.

ცქვიტა — ყოჩაღ, ნამდვილად
ღირს ხართ,
რომ შეგისრულოთ ნანატრი.
გიწვევთ ჩვენს ლამაზ ზეიმზე,
ჰა, მოსაწვევი ბარათი!..

ისმის საათის წიკწიკი, რომელიც თანდათან ძლიერდება... ხტუნიები და დათუნები აქეთ-იქით მიიმალებიან... ნათდება ის მხარე, სადაც ნებივრად წამოწოლილი დევი ხვრინავს. ირგვლივ ისეთი ხმა ისმის, თითქოს ავდრისწინა ელვა-მეხი გრგვინავდეს... ბუჩქებიდან უკუდუნა და კუდუნა გამოძვრებიან, დევს შიშით ძლივს მიუახლოვდებიან.

უკუდუნა — დევო! დევო!
ბაყბაყდევო!

კუდუნა — გაიღვიძე, ძილისგუდავ!

(დევი გვერდს იცვლის).

კუდუნა ჯოხს დასცხებს. დამფრთხალი დევი წამოჯდება.

დევი — ვიი! რა მოხდა?

უკუდუნა — რა მოხდა და,
საკურდღლეთი გიგდებს
მასხრად.
ცანცალამ და ცქვიტა ციყვმა
თავზე ლაფი გადაგასხა.
საახალწლოდ ხალხს იწვევენ,
შენ კი ჭიად არა გთვლიან,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანაც ისე იქცევიან,
თითქოს ეს ტყე მაგათია.

კუდუნა — ძია დევო, დღეს ჩვენს
გარდა
ყველას მისცეს მოსაწვევი.

დევი — თუ ეგენი არ დავსაჯე,
მე არ მერქვას ბაყბაყდევი.
აბა, ჩქარა უხმეთ მხეცებს,
ჩემთან ყოფნა ვისაც უნდა.

უკუდუნა — ამ ხურჯინით
წაგვიყვანე
მე და ჩემი მელაკუდა.

ბაყბაყდევი ხურჯინს, რომელშიც მელიები ჩასხდებიან, მხარზე გადაიკიდებს და ღიღინით გადის... ისევ განათდება ის კუთხე, ტყის შუაგულ ადგილს რომ მიგვანიშნებს. როგორც ჩანს, ხტუნიები საზღარბეთის მიდამოებში იმყოფებიან. მოჭრილ ხეებზე გადამსხდარნი გაფაციცებით უყურებენ ზღარბების ცეკვას და სიმღერას.

ზღარბები — ჩვენ, ქაცვია
ზღარბუნები,
უშიშარნი ვართ ბუნებით,
მოყვრისათვის გულმზიანნი,
მტრისთვის აბჯარასხმულები.
მუდამ მზად ვართ,
მზად ვართ მუდამ
სამზეოდ და საავდროდ!
საზღარბეთს ხომ დაცვა უნდა,
არ ვიძინებთ არაადროს.
გვიყვარს შრომა,
თავის დროზე —
სიმღერაც და თამაშიც...
სანადიროდ დავსეირნობთ
ტყეში, ღრეში, ჭალაში...

ბანცალა, ცხიკუნა — ყოჩაღ! ტაში!
აბა, ტაში!

ცქვიტა — მართლაც კარგად
გაგვართეთ
და როგორ არ დაგირიგებთ
ჩვენს მოსაწვევ ბარათებს...

ბანცალა და ცხიკუნა მოსაწვევ ბარათებს სათითაოდ ურიგებენ ზღარბებს და ცქვიტასთან ერთად გარბიან. მოისმის საშინელი ღრიალი... ნათდება ყურცქვიტეთის მიდამო... შეშინებული კურდღლები და ციყვები ერთად შეჯგუფულან და იმ მხარეს იყურებიან, საითაც ბაყბაყდევი დგას.

დევი — ხა! ხა! ხა! ხა! გეწვიეთ,
თუმცა სულ არ მელოდით,
თქვენ გინდათ, რომ იხაროთ
ჩემი ტყით და მდელოთი.
მე ვარ დევი ბაყბაყა,
არ გეგონოთ მოყვარე.
აი, კიდევ ხურჯინით
მელიებიც მოგგვარეთ.

ხურჯინიდან უკუდუნა და კუდუნა ამოხტებიან და მღერიან:

ჩვენ ვართ კურდღლიჭამიები,
ხა-ხა! ხა-ხა! ხა-ხა! ხა-ხა!
შიმშილისგან ნერწყვითა გვაქვს
სავსე ხახა! ხა-ხა-ხა-ხა!
ახლა სწრაფად, სწრაფად,
სწრაფად
ხა-ხა! ხა-ხა! ხა-ხა! ხა-ხა!
გადაგსანსლავთ, გადაგყლაპავთ!
ხა-ხა! ხა-ხა! ხა-ხა! ხა-ხა!

კურდღლები — აბა, გაიძვერებო,
წაეთრიეთ აქედან!

(დევს და მელიებს თოვლის გუნდებს და სტაფილოებს ესვრიან)

უკუდუნა — ოი, როგორ
გათავხედდნენ!

დევი — ვახმე! ამას რაა ვხედავ!
აბა, ჩემო მელიებო,
ამ ხურჯინში ჩავსხათ ყველა!

მელიები და დევი დამფრთხალ კურდღლებსა და ციყვებს დაერევიან დასაჭერად, მაგრამ ბანცალას გარდა ვერცერთს ვერ დაიჭერენ.

დევი — აქ მომგვარეთ ეგ ცერცეტი,
ნერწყვი მომდის, რომ
ვუყურებ...

უკუდუნა — ერთი შეხე ამ
უტიფარს,
წამწამსაც არ აფახულებს!

დევი — ცოტა დიდი მაინც იყოს,
არ მეყოფა ერთ ლუკმადაც...
გავკოჭოთ და ნაძვის ხეზე
ჩამოვკიდოთ, აბა, მარდად!

(გაკოჭავენ და ნაძვის ტოტზე ჩამოკიდებენ)

ახლა საყვირებს ჩაჰბერეთ
და მეგობრებს უხმეთ ერთად:
ტურა, მგელი და აფთარი
გამოცხადდნენ ნაძვის ხესთან.

მელიები საყვირებს აახმიანებენ. ბაყბაყდევი ნაძვის ირგვლივ დაძუნძულებს და მღერის:

ჩემო ნაძვის ხეო,
რა გამახარეო!
ეეეო! მეეო! რა გამახარეო!

სცენის კუთხეში გამოჩნდება წამყვანი ქალ-ვაჟი და დარბაზში მსხდომ ბავშვებს მიმართავენ:

ვაჟი — მეგობრებო, როგორც
ხედავთ,
შველა უნდა ყურცქვიტეთს,
ასე გულხელდაკრეფილი
სანამ უნდა ვუცდიდეთ?
იქნება თქვენც შეგეშინდათ,
თქვით, ხმაა რატომ არ იღებთ?
რაო, არ გსურთ მივეშველოთ,
ვიხსნათ კოხტა ნაძვისფერი
ხმები — მივეშველოთ!

ქალი — მაგრამ როგორ,
დევს ვინ გაუმკლავდება?

ვაჟი — ვინ და, ნაცარქექია,
ამ წიგნში რომ ბრძანდება.

ქალი — კიდევ?

ვაჟი — გმირი მონადირე,
წითელქუდას დამხსნელი.

ქალი — თუ ასეა, ვიხმოთ ჩქარა,
სხვა სასწაულს რას ელით?

ვაჟი — წიგნო, წიგნო,
მადლი ჰქენი,
აგვისრულე ნატვრა ჩვენი!

დარბაზში მსხდომი ბავშვები სამჯერ იმეორებენ თხოვნას. მათ წინ გამოდიან მხარზე გუდაგადაკიდებული ნაცარქექია და თოფიანი მონადირე.

ნაცარქექია — აი, ჩვენც აქ ვართ,
ბავშვებო,
გვიხმეთ და გავჩნდით მაშინვე.
რა გასაჭირი გადგათ თავს,
თქვით, დევი ხომ არ
გაშინებთ?

ქალი — როგორ მიგვიხვდით,
ძმობილო!
კი, გასაჭირი გვადგას თავს...
ჩვენ კეთილ კურდღელს-
ცანცალას
დევმა ნაძვის ხე წაართვა.

ვაჟი — იქ კიდევ სხვა მხეცებია:
ტურა, მგელი და აფთარი...

მონადირე (თოფს მოიმარჯვებს)
— აბა გვასწავლეთ, ბავშვებო,
ცანცალას ბინა სად არის?

ქალი — ჰე, აგერ, იქით! იმ მხარეს,
დიდი ნაძვი რომ ჩახჩახებს...

ნაცარქექია — ნუ გეშინიათ,
დაწყნარდით,
შავ დღეს დავაყრით ყაჩაღებს!

(მონადირეს)

შენ მიხედე ბოროტ მხეცებს,
მე მოვუვლი ამ ბაყბაყდევს:
ეს სულელი რას მიხვდება
ეშმაკობას და ჩემს ფანდებს!
ეჰეჰეჰე, ბაყბაყდევო,
ერთი ჩვენკენ გადმობრძანდი!..

დევი — შენ ვინა ხარ?

ნაცარქექია — კიკილა ვარ,
ვერ მცნობ?

დევი — ვერა!

ნაცარქექია — აი, დარდი!
აქ გადმოდი, შე მშიშარავ,
და მაშინვე გამიხსენებ....

ეროვნული ბიბლიოთეკა

დევი — ერთი შეხეთ, ეს თავხედი
რა ბავშვივით მიქნევა ხელებს.
ნაცარქექია — ჰეი, მითხარ
ბოლობოლო,
გამოხვალ თუ მანდ მოვიდე?
დევი — მანდ გადმოვალ, ერთი
ვნახოთ,
ვინა ხარ და რა გსურს კიდევ?

ნაცარქექიასკენ მოემართება და თან გაბრაზებული დუდღუნებს: „მაგრად რომ მიგლეწ-მოგლეწო-გაგლეწავ, მერე მოხვალ გონსა!"

ვაი, ნაცარქექია ხარ?
ნაცარქექია — ხო, ისა ვარ,
მომიგონე?
დევი — მოგიგონე... ეს მითხარი,
ისევ შეგრჩა ძველი ღონე?
ნაცარქექია

(გუდიდან ყველს ამოიღებს, ხელს მოუჭერს)

— არა, ბიჭო, დავკარგავდი!
ხედავ, ამ ლოდს წვენი გასდის!
დევი — ვაი, ვაი, ამას რას ვხედავ!
ჩქარა უნდა გავიქცეთ აქედან!
ნაცარქექია

(გუდას ახლა ბაბათს ჩხვლეტს და ბუკს აუნებს)

— ხედავ, მიწას ფეხს რომ
ვადგამ,
რანაირი ბუქი დგება...
გინდა, ახლა დავეჭიდოთ?
დევი (კანკალებს) — არა, როგორ
გეკადრება!

ნაცარქექია დევს ირგვლივ შემოურბენს, ხან მარცხნივ შესჭყივლებს: „აბა, ჰე, თუ ვაუკაცი ხარ, გამიძელიო!" ხან მარჯვნივ. ისე დაღლის, რომ სიარულის თავი აღარა აქვს, ბოლოს სარმას გამოსდებს და ძირს ზღართანს მოადენინებს...

ნაცარქექია — ძალითა და
მოხერხებით
ხომ გაჯობე, დევო, ახლა...
პატარებმა, მოდი, ჭკუა-
გონებითაც
გნახონ, რა ხარ.
გამოცანა მინდა გითხრა,
ადანდალი, დანდალი,
უპასუხე ჩემს შეკითხვას
ტყუილი ან მართალი.
გაზაფხული მიილია,
დადგა ცივი ზამთარი.
ტყუილი თუ მართალი?
დევი — მითხარით, ბავშვებო,
დამეხმარეთ.
ნაცარქექია — ძლიერ უყვარს
ფისუნიას
მსხლის და ვაშლის ნათალი.
ტყუილი თუ მართალი?
იანვარში თოვლი იდო,
თეთრად ჩანდა ჭადარი.
ტყუილი თუ მართალი?
შუაღამით მინდორ-მინდორ
ალერონობდა ქათამი.
ტყუილი თუ მართალი?
დევი — ხედავთ, ხედავთ, რა
ყოფილა
ეს კიკილა-ეშმაკუნა!
დაგვამარცხა, დაგვამარცხა,
კარგი, მორჩი, თითსა ვღუნავთ.
ნაცარქექია — ჰოდა, ახლა თუ არ
გინდა
ამ მიწაზე ლავაშივით
გაგაბრტყელო,
შენი ავი მეგობრებით
მოუსვი აქედან, შე სულელო!

(ყველანი გარბიან)

მონადირე თოფს ისვრის და ცანცალას ანთავისუფლებს. ტყის დიდი საათი სამჯერ ჩამორეკავს...

I წამყვანი — აგერ, ისინიც
გამოჩნდნენ უკვე —
ჩვენი ბანცალა, ცხიკუნა,
ცქვიტა.
მათ უამრავი სტუმარიც მოჰყვა
და გაიხარა ცანცალამ დიდად.
II წამყვანი — ეწვიათ თეთრი
თოვლის ბაბუაც —
კეთილი კაცი, გამრჯე
ტყისმცველი.
ტყისმცველი — სალამი, ჩემო
ნაძვნარას მკვიდრნო.
მომილოცნია ახალი წელი!
სულ სიკეთე და სულ სიხალისე
დაგბედებოდეთ დღეიდან
ყველას.
არ მოკლებოდეს მიწას სიუხვე
და მშვიდობიან ცას
ციისარტყელა.
I წამყვანი — ახლა კი, ვიდრე
ზღაპრულ წიგნს
დავხურავთ, ჩვენო ბავშვებო,
ვიმხიარულოთ, ვიცეკვოთ
ამ ჩვენი ნაძვის გარშემო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვახტანგ გოგოლაშვილი

უნდა გაბედო

უნდა გაბედო, უნდა გაბედო,
გიხმობს ახალი ქვეყნის შენება,
არც შედგომა და უკან დახევა,
არც შეჩერება და შესვენება.

უნდა გაბედო, უნდა გაბედო,
მამაც წინაპარს უნდა ტოლობდე,
უნდა იბრძოლო, უნდა იშრომო
სამშობლოსათვის ყველგან ბოლომდე.
უნდა ასწიო ყველა სიმძიმე,
უნდა გაუძლო დაღლას, დაცემას,
დიდმა იმედმა — ახალგაზრდობამ,
ჩვენი მამულის ხვალისკაცებმა.

უნდა გაბედო, ახლის შენებას
უნდა შესწირო ძალა უკლებლად,
უნდა ჩაუდგა უკვდავი ფესვი
ბებერი მიწის გაჭაბუკებას.
სწორედ ამიტომ, სწორედ ამიტომ,
დაბლა დაუხრელ დროშად გაშლილი,
ახალ-ახალი მიღწევებისთვის
დღეს შემართული დგას კომკავშირი!

ნ ი ა

უკან დარჩა საქართველოს ლილისფერი ზეცა,
ტანაშოლტილ მაღალ ნაძვებს ქარიშხალი კეცავს,
როგორც თეთრი სურათები, იცვლებიან დღენი,
ანთებული სანთლებივით ცახცახებენ ხენი.
მოფარფატე ფიფქებისგან გვითეთრდება თმები,
ნისლიანში გვეჩვენება საქართველოს მთები;
გვეჩვენება, მოლოდინში როგორ ჩუმად დგანან
ჩვენი ვრცელი ვაზნარები, ჩვენი ლურჯი ყანა.
შემოდგომის შეღამება გამოახელს თვალებს,
ღრუბლებიდან გადმოდგება ოქროსფერი მთვარე,
გულში წამით გაიელვებს მოგონება მწველი,
ორღობეში მომლოდინე გატაცება ძველი.
ჩვენო დედა საქართველოვ, გვენატრები ძლიერ,
შენზე ფიქრით, შენი რწმენით მრავალ ავდარს ვძლიეთ;
ბაიკალზე, სადაც თეთრი გრიგალები ქრიან,
მოვედით და ავაშენეთ კოხტა დაბა ნია.

სახელი

ირინე ბალიაშვილი

მხატვარი ზაურ დეისაძე

მოთხრობა

ბიჭს არაფრად ეპიტნავებოდა საკუთარი სახელი. დღეს ვიღა ატარებდა ასეთ ძველმოდურ, გრძელთაგრძელ სახელს! ამხანაგებიც წარამარა ახელებდნენ:

— ბიჭო, თევდორე, იპოვე?

— ვერა, ვერაა, — გაჰკიოდნენ შუა ქუჩაში და სულს უწეწავდნენ.

ბიჭი რომ ვერაფერს აწყობდა, წარამარა დედას ებუზღუნებოდა, უკეთესი სახელი რატომ არ შემირჩიეო. მაგრამ დედა დუმდა და ტუჩებზე იფარებდა ხელს, ბებია კი ოხრავდა და თავის ქნევით ანუგეშებდა, პაპაშენის სეხნია ხარო, მაგრამ ბიჭისთვის ეს ვერაფერი ნუგეში გახლდათ. წავიდოდა სკოლაში და თავიდან იწყებოდა ყველაფერი.

ახლაც სკოლიდან დაბრუნდა, „ბიჭო, თევდორეს“ ძახილისაგან აფორიაქებული და გაჯავრებული. მეორე ცვლაში დადიოდა. უკვე ზამთრის პირი იდგა და სიბნელეში უხდებოდა მოსვლა.

სახლში არავინ დახვდა. დედა სკოლაში კრებაზე დარჩა, მამა მივლინებაში იმყოფებოდა. ამანაც გააღიზიანა. არ უვახშმია. სინათლე აანთო, მაგიდას მიუჯდა და თავი ხელებში ჩარგო. დიდხანს არ მჯდარა ასე, მოულოდნელად სინათლე ჩაქრა და ოთახში უკუნეთი ჩამოწვა. თევდორე შეკრთა, თავი ასწია და გაირინდა. ფანჯრებში კუნაპეტი ღამე იმზირებოდა. შორს, ტყის გაღმა, რომელიღაც ღამის ფრინველი ჩხაოდა. ბიჭმა შიშისაგან განძრევა ვერ გაბედა. საკუთარი გულის ბაგაბუგიც კი აკრთობდა. მერე, როგორც იქნა, თავს სძლია, წამოდგა, მაგიდაზე ხელები მოაფათურა და ასანთს დაუწყო ძებნა, მაგრამ ვერ იპოვნა. სიბნელეში რამეს რომ არ წამოსდებოდა, ხელები წინ გაიშვირა და ისე წავიდა კამოდისაკენ. იქ სანთლიანი შანდალი ეგულებოდა. შანდლის გვერდით კი ბებიას ყოველთვის ედო ასანთის კოლოფი. კარგახანს აფათურა თითები. ბოლოს მიაგნო, მაგრამ, სამწუხაროდ, ერთადერთი ღერი აღმოჩნდა კოლოფში. ამოიღო, გულისკანკალით გაჰკრა. სუსტმა, მოცისფრო შუქმა გადაუქროლა მარიამ ბებიას ომში დაღუპული ქმრისა და მაზლების გადიდებულ ფოტოებს. ამ სურათებში ისინი ოცი-ოცდაორი წლისანი იყვნენ და შუბლზე დაყრილი შავი ქოჩორი ამშვენებდათ.

ბიჭმა ანთებული ღერი თითქმის ბოლომდე ჩამწვარ სანთელთან მიიტანა. ძლივს მოეკიდა ბამბის ძაფს. სუსტად განათდა ოთახი. ბიჭს გულზე მოეშვა, მაგრამ მიხვდა, ნამწვის იმედით დიდხანს ვერ იქნებოდა. თვალი მოავლო ირგვლივ. შანდალი აიღო და ჩაბნელებული ფანჯრებისაკენ წავიდა. აინტერესებდა, მთელ სოფელში გაითიშა სინათლე თუ მარტო მათ უბანში. ყველგან ბნელოდა. აქა-იქ მაშუქებივით ციმციმებდა ნავთის ჭრაქების შუქი. ბიჭს გული მოეცა, „რადგან მთელ სოფელში ჩამქრალა, ალბათ ქვესადგურში გადაიწვა რამე, მალე გვიშველიანო“, — გაიფიქრა.

თევდორე ფანჯარაში მოფათურე საკუთარ ჩრდილს დააკვირდა და შეკრთა, უცხო, უცნობ არსებად მოეჩვენა ორეული. სიბნელეში ტორტმანობდა სანთლის მოყვითალო, წამახვილებული ალი.

ბიჭმა ყური მიუგდო სიჩუმეს. დაძაბული აყურადებდა. ორღობეებში ჩაგუბებულ მყუდროებას არაფერი არღვევდა.

„რანაირი ქალია, — გული მოუვიდა დედაზე, —

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრებები არ ელევა მამაჩემსაც, რომ „აღარ გაუთავდა მივლინებები! იარე ახლა წინ და უკან“. — ჩასძახა საკუთარ თავს და ამოიოხრა. „ზამთრის ღამეში სოფელი მიმკვდარუნებულს ჰგავს. ნეტავ საიდან ჩნდება ასეთი შიშისმომგვრელი სიჩუმე? ძაღლებიც ისე იყეფებიან, თითქოს მოვალეობას იხდიანო. მათი ყეფაც შეაშინებს კაცს. იქნებ მოჩვენებებს აფრთხობენ?!“

ბიჭს სევდა შემოაწვა გულზე და ხელი აუთრთოლდა. სწრაფად მოშორდა ფანჯარას. ისევ კამოდს მიუახლოვდა და შანდალი თავის ადგილზე დადგა, აღარ იცოდა რა ექნა. სანთელი ქრებოდა და მალე უკუნეთი ჩამოდგებოდა.

— სხვა სანთელი უნდა მოძებნო! —ხმამაღლა უბრძანა საკუთარ თავს და კამოდის უჯრა გამოსწია. იცოდა, იქ ინახავდა ბებია. ახლა იგი შორს, დასთან იყო სტუმრად წასული და მის მაგივრად არავინ ანთებდა პაწია სანთლებს. ბიჭმა გულმოდგინედ ამოალაგა უჯრა. ხელს ამოჰყვა დაჟანგული ღილების კოლოფი. კალათის ფორმისებური ფერადი ძაფებით ამოქარგული სანემსე, ზღვის წყლისაგან გახეხილი, გახვრეტილი ვარდისფერი ნიჟარა. შემდეგ რაღაც ნაკუწების შეკვრა ამოიღო. ბებია მკერავი იყო და ნაკუწებს „შავი დღისათვის“ ინახავდა, იქნებ დასაკერებლად დასჭირდესო ვინმეს... ნაკუწებს ქვემოთ გაყვითლებული წერილების შეკრულა აღმოჩნდა. მის გვერდით გულდაგულ შეხვეული თაფლის სანთლები ელაგა.

ბიჭმა ერთი ცალი ამოაძრო და მოლივლივე ნამწვთან მიიტანა. საშიში აღარაფერი იყო, ირგვლივ ყველაფერი განათდა და ბიჭმაც გული დაიარხეინა. ახლა წერილების შეკვრამ დააინტერესა. შემოჭერილი შავი ზონარი მოხსნა და ერთ-ერთი ბარათი გაშალა. წერილს ეტყობოდა, დიდხანს გადადიოდა ხელიდან ხელში. საკმაოდ გაცვეთილიყო, მაგრამ ბიჭმა მაინც მოახერხა მისი წაკითხვა.

„ამ ბრძოლას ალბათ ვერარ გადავურჩები... ცოტანიღა დავრჩით... ვგრძნობ, დიდი ხნის სიცოცხლე აღარ მიწერია, ამიტომ ვჩქარობ, მოვასწრო სათქმელი... სიკვდილს არ ვნაღვლობ, სიცოცხლე კეთილ საქმეს შევწირე, მე მხოლოდ იმაზე ვწუხვარ, შვილის ნახვას რომ ვეღარ მოვესწრები. მე კი ძალიან მაინტერესებს, ბიჭი შემეძინება თუ გოგო. თუ ბიჭი გაგვიჩნდა, ომიანობის დროა და ომანი დაარქვი, თუ გოგო — მაია. ერთი თხოვნაც ამისრულეთ, თუ შვილიშვილს მოესწრები და თანაც ბიჭს, თევდორე დაარქვი, ჩემი სეხნია იქნება. მე ხომ მაგათთვის და ქვეყნის მომავლისათვის ვკვდები...

იცოდე, იმედიანი მივდივარ სიკვდილთან შესაგებებლად. მჯერა, რომ ამ წერილს შენი თითები გახსნიან, შენი თვალები წაიკითხავენ, შენი ცრემლები დაასველებენ...

გამომიგლოვეთ ისე, როგორც ვაჟკაცის წესია. თუ შენმა გულმა ინდომა, შავები სიკვდილამდე ატარე, თუ არა და, შავების ჩაცმით ვის დაუჯაბნავს ქვეყანა...

მშვიდობით, მარიამ. შეტევა ამ საღამოს იწყება, ჯიბეში შენი სურათი და მომავალი შვილის ფაჩუჩები მიწყვია... ჩემი ვალი პირნათლად უნდა მოვიხადო სამშობლოს წინაშე... არ ვნანობ, რადგან კეთილი საქმის სიყვარულს ვეწირები!

შენი თევდორე“.

ბიჭმა კითხვა დაამთავრა და ტუჩები აუთრთოლდა, ხელები აუკანკალდა. ბარათი ფაქიზად მოკეცა და ზევით რომ აიხედა, ჭაბუკი პაპის ნათელ, ალერსიან გამოხედვას წააწყდა. კითხვაში გართულ ბიჭს არც შეუმჩნევია, როდის მოვიდა სინათლე. ელექტრონის შუქზე ფოტოსურათი პრიალებდა და ცოცხალივით იღიმებოდა უფროსი თევდორე. ბიჭი დიდხანს იდგა მის წინ ჩაფიქრებული, [illegible] თითის წვერებზე აიწია, სურათს მისწვდა და მოწიწებით [illegible] სეხნიას შუბლს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნორჩ კორესპონდენტთა ჟურნალი 12

უნდა შეგვეძლოს ავისა და კარგის გარჩევა

ხშირად მესმის ხოლმე უფროსების წუხილი „ახლანდელი ახალგაზრდობის" შესახებ. მართლაც და სენივით არის მოდებული ეგრეთ წოდებული „სვეტური" გამოთქმები. მოსწავლე-ახალგაზრდობა არა მარტო ტოლ-სწორებთან საუბრობს ამ ერთობ „პოპულარული" სიტყვებით, არამედ ხშირად უფროსებსაც კი მიმართავს.

განვიხილეთ ჟურნალ „პიონერში" გამოქვეყნებული სტატია, სადაც ერთ-ერთი ოჯახის სახეა ნაჩვენები (უფრო სწორად, ორი ოჯახისა).

გურამი უკვე იმ ასაკშია, რომ უნდა გააჩნდეს საკუთარი მოსაზრებები ამ ცხოვრებაზე და უნდა შეეძლოს ავისა და კარგის გარჩევა. სხვას რომ ებაძები, ეს კარგია. თუ ცხოვრებაში საკუთარი იდეალი არ გაგაჩნია, ისე, მე მგონი, არც შეიძლება, მაგრამ ყოველთვის შენი შესაძლებლობებიც უნდა გაითვალისწინო.

გურამის სურვილია გოჩას გაუწიოს მეტოქეობა ჩაცმაში, მაგრამ საინტერესოა, რაღა მაინცდამაინც ჩაცმაში? რატომ, მაგალითად, სწავლაში ან შრომაში არ გაეჯიბროს ამ საქმეში საუკეთესოს? ეს, რასაკვირველია, გურამის პიროვნების მინუსია, და ამაში მშობლებსაც მიუძღვით ბრალი.

ჩემი აზრით, კარგია, როცა ვინმეს კარგ საქმეში ეჯიბრები, ცდილობ, რომ მასზე კარგი იყო, მაგრამ ეს არ უნდა გააკეთო მტრობის ან შურის მიზნით, ან ისე, რომ შენს გამო სხვა დაისაჯოს. სწორედაც რომ დასჯაა! როცა საკუთარი შვილი ისეთ რამეს გაგიბედავს, რაც გურამმა დედას უთხრა, ეს ნიშნავს, რომ მას არაფრად მიაჩნიხარ და ყველა სიტუაციაში შეუძლია შეურაცხყოფის მოყენება. მშობლისათვის კი შვილის მიერ მიყენებული ჭრილობა, ვფიქრობ, ყველაზე განუკურნავი უნდა იყოს.

ნინო სამადალაშვილი,
ქ. გორი, მე-8 საშუალო
სკოლა, VIII კლასი.

უფროსების პატივისცემა გვმართებს

მე ჩემს მშობლებს ძალიან დიდ პატივს ვცემ, განსაკუთრებით კი დედას. იმიტომ, რომ იგი ჩემთან უფრო ახლოს არის. ჩვენ ერთმანეთს ვუგებთ და კარგ დამოკიდებულებაში ვართ.

მე არ მყავს არც ბებია და არც ბაბუა, მაგრამ კარგად მაქვს შეგნებული, რომ მყავდეს, ძალიან სათუთად მოვექცეოდი. მათ მშვიდობა და ბედნიერი ცხოვრება მოგვიტანეს. ისინი რომ არ ყოფილიყვნენ, სისხლი რომ არ დაეღვარათ, არც ასეთი ცხოვრება გვექნებოდა. რაც შეეხება გურამს, მთლად დამნაშავეც არ არის, რომ ხედავს გოჩას კარგად აცვია, ძალაუნებურად მასაც უნდა, რომ კარგად ჩაიცვას და მშობლებს სთხოვს, უყიდონ და მასაც კარგად ჩაიცვას. მაგრამ იმასაც ხომ უნდა დაუკვირდეს, აქვს თუ არა ოჯახს ამდენი შესაძლებლობა. გურამს ძალიან დიდი დანაშაული მიუძღვის მშობლების წინაშე, რომ ასე უზრდელად, ქუჩური სიტყვებით ელაპარაკება, ვფიქრობ, მშობლები სტყუიან, რომ ვერ აღზარდეს ზრდილობიანი შვილი.

ნინო ციხკარიძე,
ქ. გორი, მე-8 საშუალო
სკოლა, VIII კლასი.

კარგი შვილი მშობლების სიამაყეა

მშობლებისა და შვილების ურთიერთობა იმაში მდგომარეობს, რომ მშობლებმა აღზარდონ თავიანთი შვილები მამულისთვის, ქვეყნისთვის. სასახელო შვილი მშობლების სიამაყეა. დიახ, მშობლების სიამაყეა, რადგან შვილის, ადამიანის აღზრდაში მშობელია მთავარი, მერე სკოლა და მერე ხალხი.

მე მგონია, არსებობენ ისეთი მშობლებიც, რომლებიც ანებივრებენ თავიანთ „ლამაზ შვილიკოებს". მაგალითად: ვიცნობ ერთ ასეთ ოჯახს (დედა, მამა, შვილი). დედა ხშირად ეუბნება: „შვილო, ისწავლე, რომ დაამთავრებ, „ნოლშესტა" გიყიდის მამა, თან „ჯინსებსაც". შვილი კი პასუხობს: „დედა, ვიღამ იცის „ნოლშესტი" და „ჯინსი", „ბანანები" და „ვოლგაა" მოდაში".

ერთხელ, როდესაც კლასში გოგოები გაკვეთილებს ვიმეორებდით, გავიგეთ დაცინვით ნათქვამი სიტყვები, რომლებითაც ერთ-ერთმა ჩვენმა კლასელმა მეორეს მიმართა: „ბიჭო, ეგ რეები ჩაგიცვამს, რომ მაჩუქო, არ ჩავიცვამ. აი ჩემი ბოტასები, იყიდე თუ ბიჭი ხარ! ჩემნაირი თეთრი ბოტასები 60 მანეთი ღირსო". სამწუხაროდ, ასეთებიც არიან ჩვენს გვერდით. როცა ვლაპარაკობდით გურამის საქციელზე, რომელმაც მშობლებს დაუყენა საკითხი ბოტასების ყიდვის შესახებ, ერთმა თქვა: „მე რომ მშობელს ვუთხრა რამეზე მიყიდე-მეთქი, იმ წუთში მომიტანს. მეორემ თქვა: „ეგრე რომ დედას ვუთხრა, მეჩხუბება და არც არაფერს მიყიდისო".

პირადად მე პატივს ვცემ ჩემს მშობლებს და მოხუც ბებიას და პაპას და ყოველთვის ისეთს არაფერს ვთხოვ, რაც ჩვენი ოჯახის შესაძლებლობებს აღემატება.

მაკა თოფჩიშვილი,
ქ. გორი, მე-8. საშუალო
სკოლა, VIII კლასი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღზრდაში დაშვებული შეცდომის ბრალია

ყველა ბავშვი ცდილობს გადაიღოს იმ ადამიანთა ზნე-ჩვეულება, რომელნიც მის გარშემო ტრიალებენ. ცხადია, გურამსაც გაუჩნდა სურვილი ნაირ-ნაირი მოდური ტანსაცმლის შეძენისა, როცა გვერდით გოჩასნაირი მეგობარი ჰყავს. გოჩას საქციელი დასაგმობია. იგი ამბობს, რომ „მისი სიტყვა ოჯახში კანონია". გოჩას მორალურ აღზრდაში დიდი დანაშაული მიუძღვით მის მშობლებს. განა შეიძლება მე-8 კლასელი ბავშვის მოთხოვნებს ბრმად ასრულებდნენ?!

გოჩას მიბაძვით გურამსაც გადაედო ეს ენი. ალბათ გურამის მშობლებმაც დაუშვეს შეცდომა მის აღზრდაში. ნუთუ შეიძლება შვილმა დედას ისეთი სიტყვებით მიმართოს, როგორიც იხმარა გურამმა დედასთან საუბარში? მოზარდს როგორ არ ესმის, რომ ეს უღრუბლო ცა, ბედნიერი ცხოვრება რევოლუციისა და სამამულო ომის მონაპოვარია, რომ ეს ყველაფერი წინა თაობების, ჩვენი ბებიებისა და პაპების ოფლისა და სისხლის ფასად არის მოპოვებული?! მას არ ესმის, შრომის ფასი და ამიტომაც უცხადებს მშობლებს თავხედურად, 150 მანეთზე კანკალებთო და კარგად სწავლას კი მთხოვთო. ამას გურამი ისე ამბობს, თითქოს მისი სწავლა მის მშობლებს სჭირდებოდეს და არა თვითონ მას.

ნინო არჩუაძე,
ქ. გორი, მე-8 საშუალო სკოლა, VIII კლასი.

ჩვენი მანანა ხელმძღვანელი

იგი ყოველ დილას ხალისიანი და შუქით სავსე თვალებით მიეშურება სკოლისაკენ. თვალებმერცხალა გოგო-ბიჭებთან მიუხარია. მანანა ხელმძღვანელო, მოგვეხმარე, მანანა ხელმძღვანელო, კედლის გაზეთი გავაფორმეთ, მანანა ხელმძღვანელო... — ყოველთვის გაისმის სკოლაში. ბავშვებს პიონერთა ოთახში მიუხარიათ, რადგან იციან, რომ იქ დახვდებათ მოსიყვარულე ხელმძღვანელი, კეთილი მეგობარი და დამრიგებელი.

მანანა შონიამ 1982 წელს დაამთავრა მუჟავას საშუალო სკოლა, მოწინავე კომკავშირელი. იმავე წელს დანიშნეს სკოლის უფროს პიონერხელმძღვანელად. იგი სოხუმის ა. მ. გორკის სახელობის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების II კურსის სტუდენტია.

პიონერებმა მანანა ხელმძღვანელის დახმარებით ეს ზაფხულიც საინტერესოდ გაატარეს. ეზოს ბანაკი მოაწყვეს, შესანიშნავად იშრომეს და დაისვენეს კიდეც. განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ ზაფხულს თემურელთა რაზმის მუშაობა. სოფელში ცხოვრობენ მარტოხელა დები, ქსენია და ოლღა არქანიები. ქსენია დეიდა ჩვენი სოფლის პირველი კომკავშირელი და დაწყებითი კლასებია მასწავლებელი ყოფილა წლების განმავლობაში, ოლღა დეიდას კი მედიცინის დად უმუშავნია. ახლა ორივენი პენსიაზე არიან. ქსენია მასწავლებელი ლოგინადაა ჩავარდნილი. ერთ დღეს მათი სახლის კარი პიონერებმა შეაღეს და იმ დღიდან მათ მოხუც დებზე ზრუნვა იდეს თავს. ისინი კი ასე ლოცავენ მათ: ღმერთმა გაგზარდოთ, შვილებო, მანანასთანა გოგონები და ბიჭები დამდგარიყავითო"...

რუსუდან ფიფია,
წალენჯიხის რაიონი, მუჟავას საშუალო სკოლა, IX კლასი.

შრომას ვეზიარეთ

წლევანდელი ზაფხული ჩვენი სკოლის მეშვიდე-მერვეკლასელებმა მშობლიურ სოფელში გავატარეთ. სამუდამოდ დაგვამახსოვრდა შრომისა და დასვენების ბანაკ „იმედში" გატარებული ყოველი დღე.

დილით, საუზმის შემდეგ გავდიოდით სამუშაოდ. კოლმეურნეობას საზაფხულო სამუშაოებში ვეხმარებოდით. ვშრომობდით ორი საათი. შემდეგ ვაწყობდით „მხიარულ შეჯიბრებებს", სიმღერის კონკურსებს, სპორტულ შეჯიბრებებს. საადილის შემდეგ ცოტას ვისვენებდით და ვბრუნდებოდით სახლში. შრომითი სემესტრის დამთავრების შემდეგ ორღულის კოლმეურნეობის მიერ ჩარიცხული ფულით ექსკურსია მოვაწყეთ ბათუმში. ზოგმა ჩვენგანმა პირველად იხილა ზღვა, პირველად ვნახეთ აკვარიუმი, დელფინები, პელაპები. დავათვალიერეთ ზღვისპირა ბულვარი, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი და ძალიან კმაყოფილნი დავბრუნდით შინ.

24 სექტემბერს სკოლაში მოეწყო პიონერული ხაზი, რომელზეც მე და ჩემს ამხანაგებს ნანა ჭიტაძეს, კობა ძინძიბაძეს, დალი გრძელიშვილს, ლელა და ნანა ქიმაძეებს, ფატმან მიშველიძეს მესამე შრომით სემესტრში მოპოვებული წარმატებისათვის საპატიო სიგელები გადმოგვეცა.

ლელა მაჭავარიანი,
საჩხერის რაიონი, ორღულის 8-წლიანი სკოლა, VIII კლასი.

ქ. სსრ კ. მარქსის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნორჩ კორესპონდენტთა ჟურნალი №12

ერთხელ ამობრძანდი...

ერთხელ ამობრძანდი,
ერთხელ ინახულე,
ერთხელ გადაავლე თვალი,
რა მოხდა,
ერთხელ მთებშიც იზაფხულე,
მოგელის ხევსურის ქალი.

მჯერა — მოგხიბლავს,
შეგიპყრობს, დაგიმონებს,
ველური გარემო მთების,
ამოდი,
არაგვის ხმაური გაიგონე,
დათელე კლდეებში გზები.

ამოდი!
გზადაგზა გაშლილან იანი,
ამოდი! გააძღე თვალი!
შენ გელის ხევსურეთს
ოქროსფერთმიანი
ლამაზი ხევსური ქალი.

ზეინაბ ზვიადაური,
ბარისახოს სკოლა-ინტერნატი,
X კლასი.

მიტოვებულსა სოფელსა...

ლექსის დაწერა მომწადდა
აქამდე დაუწერისა,
რაღაცას მეჩურჩულება
ნიავი ჩემი მთებისა,
რაღაცას ამომდუდუნებს —
წყალ-ჭალაც არ ჩუმდებისა,
ჩამონგრეული სახლ-კარიც
მე რა სამ მემდურებისა.
გადმოჰქუხს ლაღი ჩანჩქერი,
კლდეებში იკარგებისა,
ტყეში ნადირსაც დააფრთხობს
ხმა-ექო ჯიხვთა რქებისა.
დადუმებულა სოფელი,
წყვდიადში იფარებისა,
ცას კამარა აქვს შეკრული,
საწვიმრად ემზადებისა.
დათელა ცელქმა ნიავმა
ქედები ბაკურხევისა,
ფხიტუზეც გაინავარდა,
შიში არ აქვს ხევისა.
დაღამდა. ბინდმა შებოჭა
სილაღე არე-მარისა,
ვარსკვლავნიც ცაზე შამოსხდნენ,
ისმის დუდუნი წყალისა,
ვერცხლისფრად ამაკიაფდა
მთებზე ნათელი მთვარისა.

მალხაზ ჟინჟარაული,
ბარისახოს სკოლა-ინტერნატი
X კლასი.

მთაში

ა ის ღრუბლები მიყვარან,
ბოროლაზედ რო დიანო,
ერთიმეორის შეყრასა
ხარობენ, მიელიანო.

ხალხური

მთას სუფთა, მზით ალაპლაპებული დღე ადგა თავს. გაღმიდან ნაწყვეტ-ნაწყვეტ მოტანილ სალამურის ხმას სიო ხან გამოღმა ფურისულებით მოჩითულ ფერდობს შეაფენდა ხოლმე, ხანაც მოიისფრო სივრცეში ატანდა ხეობას.

მზე იდგა და რუჯავდა ბალახს, არსად არ ეჩქარებოდა. იდგა და მზეობდა... განიერ ბეჭებზე მიწოლილი მთის ძირას ბუერა გართხმულიყო. მდინარის წვრილი შხეფებით გრილდებოდა, კოპწიაობდა, თითქოს რაღაცის ლოდინში ცას ახედავდა ხშირ-ხშირად. ცის სილურჯეში ღრუბლის ორი ფთილა, ორი ქულა ნანაობდა.

შაიყრებიან ერთადა,
მანანახ ჩამაჰყრიანო...

როცა ღრუბლის ფთილები მთის წვერზე ერთად შედგნენ, ბუერის ფოთოლმა სიმარტოვეს ვერ გაუძლო და ბროლისფერი ცრემლი დასდინდა. ვიღაცას ხმობდა...

ზამთარი ჩემს ქალაქში

თბილია ჩემი ქალაქი, თბილი, მზიანი. იანვარშიც ვერ ელევა ცხრათვალა მზე თბილისს. არადა, რარიგ მიყვარს თოვლიანი, ჩუმი ღამეები, ბავშვების ყიჟინითა და გუნდაობით დაღლილი დიდთოვლობა!..

წელსაც ადვილად გამოიზამთრეს ღაბუა ჩიტებმა. გულისფანცქალით ელოდნენ გაზაფხულის პირველ ყვავილებს, ბაღებში აფეთქებული კვირტების ტკაცანს... მაგრამ, სწორედ იმ დროს, როცა ხეში წყალი უნდა ჩამდგარიყო, უთეთრესი და უნაზესი ფიფქები ფარფატით დაეფინენ მიწას. ზამთარმა თებერვალში იძალა და მივიწყებული საგალობელი წამოიწყო — ჩამოთოვა.

თოვდა ლამაზად, მოკრძალებულად, თითქოს მღერისო ყოველი ფანტელი.

ო, როგორ დაიმშვენა მთაწმინდამ თოვლის ნაბადი! მეზღაპრე პაპას დაემსგავსა და ყველა თავისკენ მიგვიხმო, გუნდაობით, თოვლში კოტრიალით გული გვაჯერებინა.

თოვაში მთვლემარე სახლებმა კოპები შეიკრეს და ეჭვით დახედეს ეზოებში აღმართულ თოვლის სასაცილო პაპებს.

ჰოი, რა ლამაზი იყო პირველი თოვლი ჩემს ქალაქში!..

ხათუნა ჯაფარიძე,
თბილისი, მე-15 საშუალო
სკოლა, VII კლასი.

ჩემი სოფელი

იქ მიმწევს გული ტიალი,
სადაც მაღალნი მთანია,
სადაც მწვანე ქუჩს მთისასა
ქოჩორს უვარცხნის ქარია,
სადაც კლდის ძირში გამადის
თოვლის ნადნობი წყალია,
სოფლის ძირ გამამდინარი
რექაობს ალაზანია.
სოფლის თავ დაყუდებული
ჭიუხ ნისლთ იხვევს წყნარია,
ამავლენ ჭრელნი ყვავილნი,
გრილი უბერავს ქარია,
შეეფინება მთებზედა
ფარაი — თუშის ცხვარია.

თამაზ მურღუეკი,
ბარისახოს სკოლა-ინტერნატი,
VIII კლასი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალბრუნებული ბიჯი

ვლ. მიროშნიჩენკო

მხატვარი თ. ფხიკაძე

მოთხრობა

1

ძველ საქანელაზე რომ ამბავი შეემთხვა, იმის შემდეგ ჩემი მეზობელი ვასია სემიონოვი კარგა ხანს ვერ ჩადგა ჩვეულ კალაპოტში, აქეთ-იქით აწყდებოდა და თუ გუშინ ისტორიასა და მშობლიურ ლიტერატურას აკლავდა თავს, დღეს ისევ რაღაც ტექნიკური იდეა აეკვიატებოდა, ხვალ კი... ხვალ, ვინ იცის, რას მოკიდებდა ხელს.

სწორედ ამ აქეთ-იქეთობაში მოხდა ის დასანანი ამბავი...

საღამო ხანი იყო. ვასია სემიონოვი თავის მაგიდასთან იჯდა. მაგიდაზე სახელმძღვანელოების, რვეულებისა და ფანქრების გვერდით ელაგა ქლიბები, მავთულის ნაჭრები, სარჩილავი. დედ-მამა და ბებია სტუმრად წასულიყვნენ და ვასიამ სულ რაღაც ნახევარ საათში „ბდღვერი ადინა“ სახვალიო გაკვეთილებს. მართალია, ერთი ალგებრული ამოცანა ამოუხსნელი დარჩა, მაგრამ ბიჭი არ დაღონებულა — მამამისს, სამხედრო ინჟინერს, არ გაუჭირდებოდა დახმარება.

ჰოდა, როგორც იქნა, მოიცალა და ისევ ჩაუჯდა საყვარელ საქმეს —ახლა იგი ტრანზისტორულ ფერად მიკროტელევიზორს აწყობდა. ეჩქარებოდა მისი მოთავება, რათა შესაძლებლობა ჰქონოდა, მოსაწყენ გაკვეთილებზე თვალი ედევნებინა, რა ხდებოდა მსოფლიოში, რა სიახლეებს გვთავაზობდა მეცნიერება და ტექნიკა.

სემიონოვმა ფრთხილად შეახო მავთულის ბოლოს კანიფოლით აბოლებული სარჩილავის წვერი. წამიც და — კალის წვეთმა მჭიდროდ შეაკავშირა კონდენსატორი პლატოსთან. და აი, სწორედ აქ მოხდა ის ამბავი, რომელმაც დროებით მკვეთრად შეცვალა ვასია სემიონოვის ცხოვრების გეზი და ნირი.

რა თქმა უნდა, ის წვრილი მავთულის ნაჭერი ციდან არ ჩამოვარდნილა. როგორც ჩანს, ბიჭის აბურდულ თმაში იყო გახლართული, რაღაც განგებით ჩამოცურდა, ერთი ბოლოთი ჯერ კიდევ თხევადი კალის წვეთს დაეცა და შეედუღა, მეორეთი კი მავთულების აბლაბუდაში გაიხლართა და სემიონოვის მიერ ჩაფიქრებულ სქემაში სრულიად გაუთვალისწინებელი წრედი შეკრა.

ვასიას არაფერი შეუნიშნავს. ნახევარ საათს კიდევ უკირკიტებდა თავის ქმნილებას, მიკროელემენტებს აყენებდა, ანტენას არეგულირებდა, მირჩილვის ხარისხს ამოწმებდა. და აი, საზეიმო წუთიც დადგა: ნორჩმა კონსტრუქტორმა ჩამრთველს თითი დააჭირა და გაირინდა. ის-ის იყო, ეკრანის სიღრმეში იისფერი სხივი აციმციმდა, რომ ვასიამ სახეზე სუსტი ჩხვლეტა იგრძნო და ოთახში უცნაური სუნი დატრიალდა, ის სუნი, რომელიც მაისის ჭექა-ქუხილს ახლავს ხოლმე.

„საოცარია! — გაიფიქრა ვასიამ. — ოზონი ხომ ატმოსფეროში ელექტრული განმუხტვისას ან ულტრაიისფერი სხივების გავლენით წარმოიქმნება. აქ კი... რაღაც ამბავია!..“

ამ ფიქრში ჩვენი კონსტრუქტორი საქმიანობის უჩვეულო წყურვილმა შეიპყრო და ოთახში ბოლთის ცემას მოჰყვა. მზერა გადაშლილ ალგებრის რვეულს მოხვდა. და იმ წამსვე თვალნათლივ დაინახა ჯიუტი ამოცანის ამოხსნის გზა და პასუხი. გაუკვირდა, აქამდე რა მჭირდაო, სახელმძღვანელო გადაშალა და ზედიზედ ამოხსნა კიდევ რამდენიმე ამოცანა. წამით ჩაფიქრდა, მერე კი სულ რაღაც თხუთმეტ წუთში დაშალა, შეაკეთა და ააწყო ბებიას ელექტროღუმელი. ამის შემდეგ ოთახს დაუტრიალდა და ყველა საგანს თავისი ადგილი მიუჩინა. მაინც ვერ დაწყნარდა, თავისი აპარატი კურტაკის ჯიბეში ჩაიდო, კარი გაიხურა და კიბეზე ჩაირბინა.

სადარბაზოდან რომ გავიდა, მიმოიხედა. კარავაშკინი არსად ჩანდა.

არადა, როგორ სჭირდებოდა ახლა ვადიმ კარავაშკინი! თავის იდეებს ხომ ვასია სემიონოვი ვადიმის ერუდიციით ამოწმებდა ხოლმე. ახლაც არ იქნებოდა ურიგო კარავაშკინის კონსულტაცია, მით უმეტეს, რომ ვასია ბუნდოვნად ხვდებოდა, რას შეეძლო გამოეწვია ენერგიის ასეთი მოზღვავება.

— ნეტა საიდან დაეხეტება? — ჩაიბუზღუნა.

და უცებ გაახსენდა, ვადიმი ახლა სტადიონზე იქნებაო. აკი ორი წლის წინათ ერთად მივიდნენ არმიის ცენტრალური სპორტული კლუბის ფეხბურთის სექციაში, მაგრამ კარავაშკინი მიიღეს, სემიონოვი კი — არა. განაწყენებული ვასია კარატეს სექციაში ჩაეწერა, მერე კლასიკური ჭიდაობის სექციაში გადავიდა, შემდეგ ხელბურთი შეუყვარდა, მოგვიანებით ფრენბურთელებს მიეკედლა — ფრიად მრავალმხრივი ყმაწვილი გახლდათ ამხანაგი სემიონოვი, ერთ საგანს გულს ვერ უდებდა. მის მჩქეფარე ენერგიას კენტი რამ საქმე არ ყოფნიდა, ვერ აკმაყოფილებდა. ამასობაში კარავაშკინი მშვენიერი მეკარე დადგა და უკვე დედაქალაქის პირველობისათვის ემზადებოდა.

მწვანე მინდორზე ოცდოდ ბიჭი ეარჯიშობდა. კარში შავ სპორტულ ფორმაში გამოწყობილი ვადიმი იდგა და ბიჭების მიერ რიგ-რიგობით დარტყმულ ბურთებს ისეთი ლამაზი ნახტომებით იღებდა, რომ ვასიამ თვალი ვეღარ მოაშორა.

უცებ ვადიმის მოგერიებული ბურთი მინდვრის განაპირას მდგარ ვასიას მოუგორდა ფეხებთან. ვასია უცებ აღმოჩნდა ყურადღების ცენტრში. მოულოდნელობისაგან იყო თუ რისგან, ჯიბეში თითი დააჭირა მიკროტელევიზორის ჩამრთველს და უცებ ისევ იგრძნო ენერგიის უცნაური მოზღვავება.

— ჰეი, ბიჭო, დაარტყი!

— რას გაშტერებულხარ, მოგვაწოდე!

— ვასკა, მიდი, „ცხრიანში“ გაჭეელო შეძახილი, რომელშიც ამკარა დაცინვა იგრძნობოდა, კარავაშკინს ეკუთვნოდა. გაბრაზებულმა ვასიამ ბურთს დახედა და უცებ თვალნათლივ დაინახა, თუ როგორ უნდა მოექნია ფეხი, რა კუთხითა და რა ძალით უნდა დაერტყა, რომ ბურთი კარის მარცხენა კუთხეში შეფრენილიყო. ვასიამ ორი ნაბიჯით უკან დაიხია და მოედანს გახედა. ტუჩებში სასტვენგაჩრილი მწვრთნელი... მოლოდინად ქცეული ბიჭები... ნახტომისათვის გამზადებული, ეშმაკურად მოღიმარი კარავაშკინი... ვასია გამოქანდა და ძლიერად დაარტყა. ბურთი ჯერ წინ გავარდა, მერე ჰაერში რკალი შემოხაზა და ისე შეფრინდა მარცხენა „ცხრიანში“, მაყურებლები გაოცდნენ, ბადემ რა სასწაულით გაუძლოო.

მცირე ხნით სიჩუმე ჩამოვარდა, მერე კი მთელმა სტადიონმა (ვარჯიშს მაყურებლებიც ესწრებოდნენ) მქუხარე ტაში დასცხო, აქა-იქ აღფრთოვანებული სტვენაც გაისმა. თვით მწვრთნელმაც, დიმიტრი ნიკოლოზის ძემაც კი, ვერ შეიკავა თავი და ტაში შემოჰკრა. მარტო კარავაშკინი იყო დაბღვერილი — რომელ მეკარეს სიამოვნებს გოლის გაშვება!

ვასიასთან მწვრთნელი მივიდა.

— აბა, ერთიც დაარტყი. შეგიძლია?

ვასიამ მხრები აიჩეჩა.

მის ფეხებთან ისევ აღმოჩნდა ლამაზკოპლებიანი ბურთი. ბიჭმა ჯერ მას დახედა, მერე კარავაშკინის კარი შეათვალიერა და უცებ ისევ ცხადად დაინახა, როგორ უნდა დაერტყა.

გამორბენი... ყუმბარისებური დარტყმა.... ბურთი ისევ შეფრინდა ბადეში, ახლა —მარჯვენა „ცხრიანში“.

ათიოდე წუთის შემდეგ მწვრთნელმა შვებით ამოისუნთქა: ბოლოს-დაბოლოს, ზუსტი დარტყმების მქონე ფორვარდი, რომელიც ესოდენ სჭირდებოდა მის გუნდს, ნაპოვნია! ბრმა უნდა იყო, სემიონოვის ხალასი ნიჭი რომ ვერ დაინახო!

„ფეხბურთის ამომავალმა ვარსკვლავმა“ მწვრთნელს პირობა მისცა, ზეგ, ზუსტად თვრამეტ საათსა და ნულ წუთზე, სტადიონზე გამოცდდებიო, და კარავაშკინთან ერთად შინისაკენ გასწია.

— კაი ეშმაკი ხარ, — მხარზე ხელი დაჰკრა ვასიას ვადიმმა. — ალბათ ჩუმ-ჩუმად ინტენსიურად ვარჯიშობდი, არა? გამოტყდი, ხომ ეგრეა? რომელ გუნდში მეცადინეობდი?

— არა, კაცო, — უარობდა სემიონოვი, — არსადაც არ მივარჯიშია.

მისი გონება ელვის სიაწრაფით მუშაობდა. გაახსენდა, როგორ ამოშალა მწვრთნელმა მისი გვარი სექციის კანდიდატთა სიიდან. თან მამაშვილურად არიგებდა ბიჭს: „სისწრაფე კარგი გაქვს, მაგრამ დიდი მუშაობა გმართებს, რომ ბურთი დაიმორჩილო, ეს ერთი წელი დამოუკიდებლად ივარჯიშე და მერე ვნახოთო...“ ჰიჰ! ერთი წელი! მთელი თორმეტი თვე! ამას ხომ მტკიცე ნებისყოფა, ძლიერი ხასიათი სჭირდება! სემიონოვს კი... დღეს რაღაც შემთხვევით გამოუვიდა და... ა? შემთხვევით? სასწაული ხომ იმით დაიწყო, რომ...

— გაჩერება „სმოლენსკის მეტროსადგური“, — გამოაცხადა ავტობუსის შოფერმა. — შემდეგი გაჩერება...

და ამ დროს ვასიას კურტაკის ჯიბიდან სუსტი ტკაცანი მოესმა. ჰო, ასეა: ყველაფერი ხომ ამ მიკროტელევიზორით დაიწყო — ალგებრული ამოცანები, ელექტროლუმელი, ოთახის მოწესრიგება, სტადიონი...

„რა თქმა უნდა! — დაასკვნა გუნებაში ვასიამ. — მაშინაც, ბურთი ფეხებთან რომ მომიგორდა, აკი უნებლიეთ ჩავრთე ჩემი მიკროტელევიზორი!.. კი მაგრამ, თუკი ჩემი პაწია ეგზომ ეფექტური აღმგზნები საშუალებაა, რატომ ჩვეულებრივი ტელევიზორები არ მოქმედებენ ამგვარადვე?.. როგორც ჩანს, რაღაც ავურიე სქემაში. ერთი უნდა შევამოწმო...“

ჰო, შემოწმება ნაღდად ღირდა, მაგრამ ხან საკუთარმა სიზარმაცემ შეუშალა ხელი, ხანაც ობიექტურმა პირობებმა არ დააცალეს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

2

გვიან საღამოს სემიონოვებს მოულოდნელი სტუმარი ეწვიათ, რომელსაც პიჯაკის ლაცკანზე სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატის სამკერდე ნიშანი ეკეთა. უფროსებს გაუკვირდათ, მაგრამ კიდევ უფრო მეტად განცვიფრდნენ, როცა შეიტყვეს, რომ ეს ჭაღარა კაცი, ფეხბურთის მწვრთნელი, თურმე დიდ იმედებს ამყარებს უმცროს სემიონოვზე და ამტკიცებს, მისგან პელე თუ არა, მეორე მეტრეველი ან პონედელნიკი აუცილებლად დადგებაო. ვასიას მამას ძალზე უყვარდა ფეხბურთი და გახარებული, ჩემს ზარმაც ბიჭს ბრწყინვალე ნიჭი აღმოაჩნდაო, მწვრთნელთან ერთად შეუდგა ვასიასთვის ვარჯიშის ინდივიდუალური პროგრამის შედგენას...

„რახან დიმიტრი ნიკოლოზის ძეს მოვეწონე, — ფიქრობდა ვასია, — მაშასადამე, რაღაც იპოვა ჩემში და ადვილად აღარ შემეშვება“.

ვასიას უკანდახევაზე არც უფიქრია, რომელი ბიჭუნა არ ოცნებობს ფეხბურთელის სახელსა და დიდებაზე! არც სემიონოვი გახლდათ გამონაკლისი, რომ მოულოდნელ ხელსაყრელ შემთხვევაზე უარი ეთქვა.

„რა კარგია, რომ ჩემი „მიკრო“ მართლაც ასეთი პატარაა! — განაგრძობდა ფიქრს ვასია. — ბუდეს შევუკერავ და ფორმის ტრუსის ქვეშ წელზე შემოვიკრავ“.

თქვა და გააკეთა კიდეც.

3

ხუთი საათი სრულდებოდა, როცა მოზარდთა სპორტული ქალაქის მოედანზე მწყობრი სირბილით გამოვიდა ნორჩ ფეხბურთელთა ორი გუნდი — სპარტაკელები და არმიელები.

მაყურებელი ყიჟინით შეხვდა ნორჩ ფეხბურთელებს.

მსაჯის სასტვენის ხმა და — თამაშიც დაიწყო.

პირველი წუთებიდანვე ტრიბუნების ყურადღება მიიქცია ერთმა არმიელმა ფეხბურთელმა, მაღალმაღალმა ქერათმიანმა ბიჭუნამ, რომელსაც ზურგზე ცხრიანი ეწერა. ეს მოთამაშე როგორღაც უთავბოლოდ დარბოდა აქეთ-იქით და უფრო ხელს უშლიდა თანაგუნდელებს, ვიდრე ეხმარებოდა მათ.

სპარტაკელთა გულშემატკივრები სიცილით იჭაჭებოდნენ, არმიელები კი ბრაზობდნენ და უკვირდათ, ეს ახმახი მოედანზე რა გამოსაყვანი იყო. მაგრამ როცა რამდენიმე წუთის შემდეგ „სპარტაკის“ საჯარიმო მოედანში არმიელი გოლუბევი მოცელეს და მსაჯმა პენალტი დანიშნა, ყველაფერი გაირკვა.

გამოცდილმა გოლუბევმა ბურთი გაასწორა, უკან დაიხია და ის იყო, უნდა გამოქანებულიყო, რომ უცებ მწვრთნელის ყვირილი შემოესმა:

— სემიონოვმა დაარტყას! სემიონოვმა!

და როცა თერთმეტმეტრიანის დასარტყმელად სწოლედ ის ბოთე ალაწოდა გამოვიდა, სპარტაკის გულშემატკივრებმა შვებით ამოიაუნთქეს, არმიელთა ქომაგებმა კი თვალზე აიფარეს ხელი.

ამასობაში „ცხრიანი“ რაღაცნაირი მოუხეშავი სირბილით გამოქანდა, ფეხიც როგორღაც მოღრეცილად მოიქნია და სპარტაკელებს სახეზე ჯერაც არ გაქრობოდათ დამცინავი ღიმილი, რომ მათი მეკარე მარცხნივ გადახტა, ბურთი კი შხუილით შევარდა მარჯვენა ქვედა კუთხეში.

მცირე ხნით ჩამოვარდნილი სიჩუმე უცებ გრიგალივით მოვარდნილმა სტვენა-ყიჟინამ შეცვალა. მოუქნელ ფორვარდს ახლა ყველა სხვა-

ნაირად უყურებდა — გაკვირვებით და უნდობლობაგარეული აღტაცებით...

მაგრამ გავიდა კიდევ რამდენიმე წუთი და მაყურებლებს ისევ გაუჩნდათ ეჭვი, რომ „ცხრიანი“ ნაღდად შემთხვევით იყო მოხვედრილი მინდორზე. კაცმა რომ თქვას, სულის სიღრმეში მწვრთნელიც ამასვე ფიქრობდა, მაგრამ აი, სპარტაკელებმა ისევ დაარღვიეს თამაშის წესი და გოლუბევმა ფრთხილად დადო ბურთი დარღვევის ადგილას — საჯარიმო მოედნის კუთხიდან ოთხიოდე მეტრის დაშორებით. აქედან გოლის გატანა გამოცდილ ოსტატსაც კი გაუჭირდებოდა, არამცთუ გოლუბევს, ამიტომ მან „დიდსულოვნად“ დაუთმო ბურთი სემიონოვს.

ვასია აუჩქარებლად მიუახლოვდა ბურთს, აიღო, ხელში შეათამაშა, დადო, გაასწორა, წელში გაიმართა და უკან დაიხია.

...სპარტაკელთა „კედელი“ მთლიანად ფარავს კარს, მაშასადამე, პირდაპირ დარტყმა არ ივარგებს. ვასიას ხშირად უნახავს მოჭრილი დარტყმა — „ხმელი ფოთოლი“, თუმცა თვითონ, რა თქმა უნდა, მსგავსი არაფერი გაუკეთებია... ლოგიკური იქნება, თუ ბურთს გრძელი ტრაექტორიით კარის შორეულ კუთხეში გაგზავნის, მაგრამ იქ ხომ მეკარე დგას გაფაციცებული! აქეთ, მარცხენა კუთხეში რომ დაარტყას მოჭრით?.. კი, ასე ჯობს...

ვასილი გამოქანდა და მოუქნელად მოუქნია ბურთს ფეხი. ისიც წამსვე კალიასავით ახტა ჰაერში, „კედელს“ შემოუარა და გაფრინდა. ეჭვი არავის შეპარვია, რომ კარს ასცდებოდა, ეგ კი არა, სპარტაკელთა მეკარემ ხელებიც კი ჩამოუშვა, მაგრამ უკანასკნელ წამს ბურთმა მოუხვია და პეპელასავით შეფრთხიალდა მარცხენა „ცხრიანში“.

ისევ წამიერი დუმილი... და მერე ისევ ტაშის გრიალი, თანაც ისეთი, კრუიფი და ბეკენბაუერიც რომ არ იტყოდნენ უარს.

...შინ დაბრუნებულ ვასიას სასიამოვნო საჩუქარი ელოდა: მამამ თავისი დაპირება შეასრულა და მეექვსე კლასის წარჩინებით დამთავრების აღსანიშნავად შავიზღვისპირა კურორტზე პიონერთა ბანაკის საგზური უშოვა შვილს, თანაც ორი ნაკადისა — ერთად.

— ეს საგზური ფეხბურთში მოპოვებული წარმატებებისათვისაც გეკუთვნოდა, თუმცა ამ წარმატებებისა მაინცდამაინც არა მჯერა, — უთხრა მამამ. — როგორღაც ძალზე მოუქნელი ხარ, ძამიკო...

ზღვისპირა პიონერული ზაფხულის პერსპექტივა ნამდვილად უხარებდა გულს ვასიას, მაგრამ ფეხბურთი? ვის არ სიამოვნებს ტრიბუნების ემოციები? თანაც, ბიჭმა თანდათან გაუგო გემო ფეხბურთის სილამაზეს, თანდათან იმასაც აუღო ალღო, რა მომენტში უნდა გასულიყო ბურთის მისაღებად, ვისთვის ჯობდა გადაწოდება, როგორ მოეტყუებინა მცველი... თუმცა რა გასაკვირია, აკი თავისი „მიკრო“ დღედაღამ თან ჰქონდა სემიონოვს...

მაგრამ ერთხელ...

ერთ შაბათ საღამოს, ნავახშმევს, ვასია და მამამისი ტელევიზორს მიუსხდნენ. საინტერესო მატჩი მიმდინარეობდა, ორი „დინამო“ თამაშობდა. დედამ ის-ის იყო დიდ სარეცხს მოკიდა ხელი და სარეცხის მანქანა ჩართო. საბაზანოს კარი ღია დარჩენოდა და მანქანის გუგუნი მამა-შვილს აშკარად უშლიდა ხელს. ვასია ზლაზვნით წამოდგა, კარს მივხურავო, და საბაზანოში სწორედ მაშინ შეიხედა, როცა დედამ მისი სპორტული ჩანთა გადმოაბრუნა და ენერგიულად დაფერთხა.

გაისმა ჭახანი და იატაკზე ყოველმხრივ გაიფანტა საბრალო „მიკროს“ ნამსხვრევები.

— აუ, დავიღუპე! — შუბლში იტკიცა ხელი ბიჭმა.

დედამ გაკვირვებით შეხედა, მაგრამ ვიდრე რამეს იტყოდა, ვიღაცამ კარზე დარეკა. ვასიამ გაუღო. ზღურბლზე დიმიტრი ნიკოლოზის ძე იდგა.

— მამა სახლშია? — იკითხა და ოთახში შემოვიდა.

„დამწვარზე — მდუღარეო, რომ იტყვიან, ალბათ ასეთ შემთხვევაზეა ნათქვამი“, — მწარედ გაიფიქრა ბიჭმა.

როცა სემიონოვების საზაფხულო გეგმები შეიტყო, მწვრთნელმა ტეგორიულად მოითხოვა, ვასია დედაქალაქში დარჩენილიყო და ინტენსიურად ევარჯიშა ინდივიდუალური ოსტატობის ასამაღლებლად. ეს იქნებოდა ნამდვილად პატრიოტული საქციელი.

— რას იზამ? — ჰკითხა მამამ შვილს. — დარჩები თუ წახვალ? მე მგონი, რაკი შენზე ასეთ იმედებს ამყარებენ, უნდა დარჩე...ა? რას იტყვი?

ჯერ კიდევ ნახევარი საათის წინ ვასია სიხარულით მიიღებდა მწვრთნელის წინადადებას. მაგრამ ახლა... თავისი ჯადოსნური „მიკრო“ რომ აღარა აქვს?... როგორ განცვიფრდება დიმიტრი ნიკოლოზის ძე, როცა პირველსავე ვარჯიშზე დაინახავს, რაოდენ მოუქნელი ვინმე ყოფილა ეს ვასია სემიონოვი...

— კი მაგრამ... მამიკო... მე ხომ მთელი წელი ბანაკზე ვოცნებობდი, — ამოღერღა ვასიამ და თავი დახარა, მაგრამ მაინც მოასწრო შეენიშნა, როგორ მოექუფრა სახე ჭაღარა მწვრთნელს. ბიჭს გული შეეკუმშა, თავი ასწია და მზერა გაუსწორა დიმიტრი ნიკოლოზის ძეს. — სიტყვას გაძლევთ... გპირდებით, ყოველდღე ვივარჯიშებ იქ... ფორმას შევინარჩუნებ.... ოღონდ დავალება მომეცით... ხომ არსებობს ვარჯიში ინდივიდუალური პროგრამით... დიმიტრი ნიკოლოზის ძევ... გთხოვთ...

4

ვასია გუნებაში მწარედ თათხავდა საკუთარ თავს: მას რომ დროზე მოეცალა, სიზარმაცე დაეძლია და იმის მიზეზი გამოეკვლია, რანაირად მიიღო მიკროტელევიზორის ნაცვლად მიკროსტიმულატორი, ამ დღეში არ ჩავარდებოდა. არადა, თავისუფლად შეიძლებოდა ერთ საღამოს დაედგინა, რა უნებლიე შეცდომა დაუშვა ტრანზისტორული მიმღების სქემაში. ეჰ, თვითონ ხომ წაიხდინა საქმე, მაგრამ ვაი, რომ ამასთანავე, ბრწყინვალე აღმოჩენაც დაუკარგა კაცობრიობას...

აკი გითხარით, დიდება ვის არ უყვარს, მით უმეტეს — ფეხბურთელის დიდება და პატივი! მაგრამ

ახლა ვასიას ის კი არ ადარდებდა, პელესებური კარიერის შანსი რომ დაკარგა, არამედ ის, თუ როგორ გაემართლებინა მწვრთნელის ნდობა და იმედები. ბანაკში იგი დიმიტრი ნიკოლოზის ძის დარიგებებითა და სხვადასხვა სახელმძღვანელოთი შეიარაღებული ჩამოვიდა, თან ამ ბოლო ხანს, როგორც ვთქვით, ცოტ-ცოტა თვითონაც გაიგო საფეხბურთო სტრატეგიისა და ტაქტიკისა, მაგრამ მნიშვნელოვან შედეგს რომ მიაღწიო, თავგამოდებული ვარჯიშია საჭირო. ასეთ ვარჯიშს ნებისყოფა და მთელი ძალების მობილიზება სჭირდება, ვასიას კი ვინ მისცა საამისო ნიჭი და უნარი... აი, ვინმე რომ ჩასჭიდებდეს რკინის ხელს და აიძულებდეს...

ამ მწარე ფიქრებში საბანაკო ცხოვრების ორმა დღემ გაიარა, მესამე დღეს კი, დილით, სემიონოვს ბანაკის უფროსთან გამოუძახეს.

ბანაკის უფროსის გარდა კაბინეტში კიდევ ორნი იყვნენ — უფროსი პიონერხელმძღვანელი და ფიზორგანიზატორი საშა — ოციოდე წლის ჩასხმული, დაკუნთული ჭაბუკი.

— გამარჯობა, ვასილი სემიონოვ, — უპასუხა სალამზე ბანაკის უფროსმა. — დაჯექი. იცი, რატომ დაგიძახეთ? აი, საშა გიჩივის.

ვასიას გაუკვირდა.

— რაო, ყმაწვილო, — თვალები მოჭუტა საშამ, — კაცი არმიელთა ახალგაზრდული ნაკრების კანდიდატი რომ ხარ და ბანაკის ნაკრების წევრობას არ კადრულობ, რაშია საქმე?

— რა ახალგაზრდული ნაკრების? — კიდევ უფრო განცვიფრდა სემიონოვი.

უფროს პიონერხელმძღვანელს შეებრალა ვასია, მაგიდიდან ფურცელი აიღო და ბიჭს გაუწოდა:

— წაიკითხე.

„გთხოვთ ყოველნაირად ხელი შეუწყოთ და ვარჯიშის პირობები შეუქმნათ არმიელთა ახალგაზრდული ნაკრების კანდიდატ ვასილი სემიონოვს, რომელიც ამჟამად თქვენდამი რწმუნებულ ბანაკში იმყოფება“. დეპეშას ხელს დიმიტრი ნიკოლოზის ძე აწერდა.

— მალე აქაურ ფეხბურთელებთან შეხვედრა უნდა გავმართოთ, — საყვედურიანი კილოთი თქვა საშამ. — შენ კი...

— მწვრთნელმა ინდივიდუალური დავალება მომცა, — თავი იმართლა ვასიამ. — ავად ვიყავი და ფორმიდან ამოვვარდი... თამაში აკრძალული მაქვს... მე კი მის სიტყვას ვერ გადავუვალ...

— ერთი მატჩი რომ ითამაშო, არაფერი დაშავდება, — გაამხნევა ბანაკის უფროსმა.

— რა თქმა უნდა, — მხარი დაუჭირა საშამ. — რაც შეეხება ვარჯიშს, ჩემზე იყოს, მე დაგეხმარები...

და საქმე ისე აეწყო, როგორც ვასია ოცნებობდა. ფიზორგანიზატორი სიტყვის კაცი გამოდგა, ამასთან, შესანიშნავი მწვრთნელიც, და მათ მეორე დილითვე დაიწყეს ვარჯიშნეობა საერთო ფიზიკურ მომზადებაში.

— შევთანხმდეთ, — თავისი მძიმე ტორი მხარზე ჩამოადო საშამ ვასიას: — რასაც მე გავაკეთებ, შენც იმასვე გაიმეორებ. არავითარ წუწუნს, არავითარ „დავიღალეს“ და „არ შემიძლიას“ ვერ მოვითმენ. გასაგებია?..

ისინი სირბილით გაჰყვნენ სანაპირო ხაზს. ვასია ჯერ ყოჩაღად მირბოდა, მაგრამ მალე სუნთქვა აუჩქარდა, ფეხებში ტყვიის სიმძიმე ჩაეღვარა. საშა მიხვდა, რაც სჭირდა, და სწრაფ ნაბიჯზე გადავიდა.

— ჯანიანი ბიჭი კი ხარ, მაგრამ სუნთქვა არ გივარგა, — დაასკვნა მან. — რიტმულად უნდა ისუნთქო, ცხვირით, თან რაც შეიძლება ღრმად. არა უშავს, გაგივლის, შეეჩვევი.

მერე ისევ სირბილზე გადავიდნენ. ბოლოს, როგორც იქნა, საშა შეჩერდა. ვასიას გულზე მოეშვა, მაგრამ მალე მიხვდა, რომ სიხარული ნაადრევი იყო — ისინი სპორტულ მოედანზე იმყოფებოდნენ. აქ რგოლებიც იყო, ბაგირიც, ღერძიც, ორძელიც...

— აბა, დავიწყოთ! — ცის ქუხილივით ჩაესმა საშას ბრძანება...

მეორე და მესამე დღის ბოლოს ვასია ფეხებს ძლივს-დაათრევდა და სხეულის ყველა ნაწილი, ყოველ კუნთი სტეხდა და სტკიოდა. მაგრამ მეოთხე დილიდან „სასწაულები“ დაიწყო — ტკივილი ნელ-ნელა ჩაუყუჩდა და გაუქრა, კუნთები თანდათან ღონით აევსო, სუნთქვაც შესამჩნევად მოუწესრიგდა. ახლა უკვე აღარ ეზარებოდა ალიონზე წამოხტომა, თბილ, ალერსიან ზღვის ზვირთებში ბანაობა და ვარჯიში, ვარჯიში, ვარჯიში...

მეათე დღის მიწურულს ვასიამ სულ სხვა ადამიანად იგრძნო თავი. საქმე ისაა, რომ, სხვა სიკეთესთან ერთად, მას თანდათან განუმტკიცდა საკუთარი ძალების რწმენა, მიხვდა, რომ თუ მოინდომებდა, ყველაფერს დასძლევდა, ყოველგვარ წინააღმდეგობას გადალახავდა... დიდებული გრძნობა იყო...

5

იმ სპორტული მოედნის ახლოს, სადაც ბოლო დღეებში საშა და ვასია ვარჯიშობდნენ, ერთ პატარა მწვანე მინდორზე, თითქმის ყოველდღე თამაშობდნენ ფეხბურთს მზით გარუჯული შავტუხა ბიჭუნები. შესვენებია წუთებში ვასია ახლოს მიდიოდა და აღფრთოვანებით და, ცოტა არ იყოს, შურითაც კი ადევნებდა თვალს მათ ვირტუოზულ თამაშს. ოჰადა, რა ბურთი ჰქონდათ — დაძველებული, ფერდებგამობერილი, ფერგადასული.

ერთ დილით, ასე თერთმეტი საათი იქნებოდა, ვასიამ ვარჯიში დაამთავრა (საშა იმ დღეს ბანაკში დარჩა, სხვა საქმეები ჰქონდა) და იმ მწვანე მინდორს მიაშურა. ხელში დიმიტრი ნიკოლოზის ძის ნაჩუქარი ახალთახალი კოპლებიანი ბურთი ეჭირა. მინდორზე ყიჟინით დაქროდნენ შავტუხა ბიჭუნები. ერთი მათგანი ძლიერად ჩამოწოდებული ბურთისკენ გამოექანა, ბურთს ფეხი კი გაჰკრა, მაგრამ თვითონ თავი ვერ შეიმაგრა, წაიქცა, გასრიალდა და სემიონოვიც ააყვირა. ვასიას კოპლებიანი ბურთი ნელა შეგორდა მოედანზე.

ვასიას და მისი ბურთის გარშემო ბიჭები შეგროვდნენ.

— შენია? — ჰკითხა მაღალმა, ხმელ-ხმელმა ბიჭმა, რომლის ოსტატური თამაშიც სემიონოვს ყველაზე მეტად მოსწონდა.

— ჰო.

— კარგი ბურთია... ვითამაშოთ? — შესთავაზა უცებ. — სწორედ ერთი კაცი მაკლია გუნდში.

— ვითამაშოთ.

და კოპლებიანმა ბურთმა ჰაერში შეინავარდა.

კარგა ხანს ითამაშეს. მერე ოფლი შეიშრეს და ზღვაში იბანავეს.

თემოს (ასე ერქვა იმ მაღალ ბიჭს) თვალში მოუვიდა ვასია და სულ რაღაც ათ-თხუთმეტ წუთში, ვიდრე მზის გულზე შრებოდნენ, თავისთავზე ყველაფერი უამბო. თემო თბილისელი აღმოჩნდა, აქ ბებიასთან ყოფილა სტუმრად ჩამოსული. ფეხბურთის თამაში ვერაზე, თავის პაწია ეზოში უსწავლია. სწორედ ეს ჩაკეტილი პატარა სივრცე აიძულებდა ბავშვებს, ეთამაშათ მაქსიმალური ყურადღებით, გონებამახვილურად, დაეხვეწათ ყოველი ფინტი, ყოველი დარტყმა, დაუფლებოდნენ დრიბლინგის ხელოვნებას. ფეხბურთის სპეციალიზებულ სკოლაში დადის თურმე, წელს მეშვიდე კლასში გადასულა.

საღამოს ბიჭები ისევ შეხვდნენ ერთმანეთს, ორიოდე დღის შემდეგ კი უკვე განუყრელ მეგობრებად მიაჩნდათ თავი.

— სუნთქვა კარგი გაქვს, გამძლეობაც, სწრაფადაც დარბიხარ, — უთხრა თემომ მეგობარს, როცა ტაიმებს შორის ჩეროში ისვენებდნენ. — ცოტა ტექნიკასაც რომ დაუმატებდე, მაშინ...

— მაშინ რა?.. — ყურები ცქვიტა ვასიამ.

— როგორ თუ რა? მოსკოვში ცოტაა ფეხბურთელთა გუნდი?...

და აქ ვასიამ, რომელიც სულის სიღრმეში სწუხდა, აქამდე გული რატომ არ გადავუშალეო, თავისი გასაჭირი უამბო ახალშეძენილ მეგობარს.

თემო იჯდა და გაკვირვებული უსმენდა გოგოსავით ალეწილ სემიონოვს. ერთხანს ხმაც კი ვერ ამოიღო.

— აღარ ვიცი, რა პირით გამოვჩნდე მოსკოვში, — დაასკვნა ვასიამ (ეტყობა, ცრემლებს ძლივს იკავებდა). — ვინ დამიჯერებს..

— მე! მე დაგიჯერებ! მე მჯერა! — უცებ ზეწამოიჭრა თემო. — და ისიც ვიცი, რომ ამ ამბავში აუნაზღაურებელი დანაკლისი იმ აპარატის დამტვრევაა, თორემ რაც შეეხება შენს ტექნიკურ ოსტატობას, ამას ეშველება! აი, ნახავ, თუ არა!

— რანაირად? — ძლივს ამოღერღა სემიონოვმა.

— ეშველება-მეთქი, გეუბნები! შენ ოღონდ... შენ ოღონდ ნუ იზარმაცებ, ტემპში ამყევი და მე ვიცი. თითქმის მთელი თვე ხომ გვაქვს წინ? ჰოდა, აბა, საქმეს მოვკიდოთ ხელი... ესე იგი, ფეხი, — ჩაიცინა თემომ.

ბანაკის ხელმძღვანელებმა, საშას რეკომენდაციით, ვასიას მაქსიმალური თავისუფლება მიანიჭეს და ახლა იგი მაქსიმალური დატვირთვით ცადინეობდა ფეხბურთში, ბურთს და მისი ამხანაგების მაქსიმალური ყურადღებით გარემოცული. დიახ, თემომ და მისმა თანაგუნდელებმა, ყველამ, როგორც ერთმა — ხალისით იკისრა კოლექტიური მწვრთნელის მოვალეობა.

და გადაება ერთმანეთს თავგამოდებული წვრთნის მძიმე, მაგრამ საინტერესო, ახალ-ახალი მიგნებებით სავსე დღეები, გულდაგულ იხვეწებოდა თითოეული ცრუმოძრაობის, დრიბლინგის, ბურთის გაჩერების, ჩაწოდების, კარში დარტყმის, უბურთოდ თამაშის ტექნიკა, მუშავდებოდა ფეხბურთის სტრატეგიის თუ ტაქტიკის ცალკეული საკითხები. ბიჭებს მხედველობიდან არ რჩებოდათ სემიონოვის არც ერთი შეცდომა, მაშინვე აჩერებდნენ და თვალნათლივ უჩვენებდნენ, როგორ უნდა ეთამაშა ამა თუ იმ სიტუაციაში...

— თავით უნდა ითამაშო ხოლმე, —უთხრა ერთხელ თემომ.

— კი მაგრამ, თუ დაბალი ბურთია? — გაუკვირდა ვასიას.

ბიჭებს გაეცინათ.

— თავით თამაში იმას ნიშნავს, რომ თამაშისას უნდა იფიქრო, — თემოს არც კი გაღიმებია, — ესე იგი, აზრიანად უნდა ითამაშო. მარტო ფეხებით ვერაფერს გახდები.

ვასიაც ფიქრობდა. ფიქრობდა არა მარტო თამაშის დროს, არამედ შესვენებებზეც, სადილობისას, ძილის წინაც, საუზმეზედაც, მეხსიერებაში აღადგენდა ხოლმე გუშინდელი მატჩის ამა თუ იმ ეპიზოდს, აანალიზებდა საკუთარ შეცდომებს, ეძებდა გამოსწორების გზებს.

და დღითი დღე, განუხრელად მოდიოდა წარმატებები.

6

მიიწურა ბანაკში ყოფნის დრო.

გამგზავრების წინადღეს პიონერულ ბანაკ „მზიურის“ ფეხბურთელები გამოსათხოვარ მატჩში შეხვდნენ ადგილობრივ სპორტსმენებს.

თამაში მასპინძელთა იერიშებით დაიწყო. თემო ზედიზედ შედიოდა მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედან-

ზე და ზუსტად ურტყამდა (აოც თანაგუნდელები აკლებდნენ ხელს). მაგრამ „მზიურის" ჭორფლიანი მეკარე მოხდენილი ნახტომებით იგერიებდა ძლიერად დარტყმულ ბურთებს.

თხუთმეტიოდე წუთი ისე გავიდა, მზიურელთა ფორვარდ სემიონოვს ბურთი ერთხელაც არ მიუღია. ეს აოც იყო გასაკვირი — აომიელთა ნაკრების წევრის სათამაშო ტექნიკას, მის შეაძლებლობებს ბანაკელებზე უკეთ ხომ მასპინძლები იცნობდნენ! ბანაკელებს ვასიას იმედი აო ჰქონდათ და ისე იქცეოდნენ, ვითომ იგი მოედანზე აოც ყოფილიყოს.

გაბრაზდა ვასია, მაგრამ რა გაბრაზდა! ყელში ამოუვიდა ამდენი ამაო სირბილი! ჰოდა, როცა ერთმა ბანაკელმა მეორეს ბურთი გაუგორა, ვასიამ მოულოდნელად ჩაჭრა გადაცემა, ბურთი წინ გაიგდო და მოწინააღმდეგის კარისკენ გაქანდა. მისმა ამხანაგებმა გონს მოსვლაც ვერ მოასწრეს, ვასიამ ზედიზედ მოატყუა ერთი ნახევარმცველი და ორი მცველი, წინ გამოსულ მეკარეს, რომელიც ფეხებში ჩავარდნას უპირებდა, ნახტომი დააცალა და მშვიდად შეაგორა ბურთი ცარიელ მარცხენა კუთხეში.

მაყურებლებმა ტაში დასცხეს.

— ყოჩაღ, ვასკა! — ჩუმად მიუგდო გვერდით ჩაქროლილმა თემომ.

მალე თემომ საპასუხო ბურთი გაუტანა ბანაკელ ფეხბურთელებს. ერთით — ერთი!

თამაში გახურდა. მიუხედავად იმისა, რომ თავი გამოიჩინა, ბანაკელებს სემიონოვის ოსტატობისა, როგორც ჩანს, დიდად არა სჯეროდათ. თამაშის მიწურულს ეშხში შესულმა ვასიამ ნაცად ხერხა მიმართა, თანაგუნდელისთვის ჩაწოდებული მაღალი ბურთი მკერდით მიიღო საჯარიმო მოედნის აიახლოვეს, მუხლით თავზე გადაუგდო მისკენ გამოქანებულ ცენტრალურ მცველს, წინ გაიჭრა, ბურთს მიწაზე დაშვება არ დააცალა, ახტა, წელში მოიდრიკა და მძლავრად დაარტყა.

„ცხრიანი"!

ემიონოვის ბრწყინვალე გოლს მაშინვე მატჩის დამთავრების ვენი მოჰყვა. მაყურებელი ნზე შეიჭრა გამაყრუებელი ყიჟინით, აღტაცებულ თანაგუნდელებს ვასია ხელიდან გამოსტაცა და იმსიმაღლეზე ააბურთავა, რომ ბედნიერმა ბიჭმა ზღვაზე, ჰორიზონტს მიღმა, ბათუმისკენ მიმავალი ტანკერის ანძას ჰკიდა თვალი.

დიახ, ნამდვილად ბედნიერი კაცი გახლდათ ახლა ვასია სემიონოვი — მან ჭეშმარიტად დაიმსახურა ასეთი პატივი... დაიმსახურა ხანგრძლივი, მძიმე, ბეჯითი მეცადინეობით... მეცადინეობით, რომელმაც დაკარგული ნიჭი დაუბრუნა.

თურმე რა ბევრი, ძალიან ბევრი შეიძლება მოიპოვო მტკიცე ნებისყოფით, თავგამოდებული, მიზანსწრაფული შრომით... მით უმეტეს, თუ გვერდით ნაღდი მეგობარიც გყავს...

თარგმნა ნუგზარ აფხაზავამ

უცხოური ფუმორი

თავის დაძვრენა

— ერთი მითხარი, ამ არითმეტიკის რვეულში რატომ არაფერი გიწერია? — ჰკითხა დედამ მონიკას.

— ეგ ზეპირი ანგარიშისთვისაა, დედიკო.

ლექციაზე

— თქვენს წინაშე ძალიან იშვიათი სახეობის შიმპანზეს თავის ქალაა, — მიმართა პროფესორმა აუდიტორიას, — ასეთი თავის ქალა ჩვენს ქვეყანაში სულ ორია. ერთი ეროვნულ მუზეუმშია, მეორე — მე მაქვს.

მოგზიდვა

„გთხოვთ აპატიოთ ჩემს ქალიშვილს სამსახურში დაგვიანება, — მისწერა ბატონმა პისტერმანმა დაწესებულების უფროსს, — მე სამი ქალიშვილი მყავს და სარკე კი მხოლოდ ერთი გვაქვს".

უტყუარი ალიბი

ერთ ახლობელს უნდოდა საყოველთაოდ ცნობილი შერლოკ ჰოლმსის პიროვნების შემქმნელი — მწერალი კონან დოილი გამოეცადა და როდესაც იგი შინ ეწვია, ჰკითხა:

— აბა თუ იტყვი, რამდენიმე წუთის წინ აქ რა მოხდა?

კონან დოილმა ოთახში ყველაფერი შეამოწმა და მიუგო:

— თაგვი გწვევიათ.

ყველანი განცვიფრდნენ და ერთხმად შესძახეს:

— სწორია, მაგრამ როგორ მიხვდით?

— სრულიად უბრალოდ, ბატონებო, სავარძლებზე ჯერ ისევ ამჩნევია ქალის ფეხსაცმლის ანაბეჭდი.

კრიტიკა

ერთმა მსახიობმა ხელოსანს ბინა შეაღებინა და მადლობის ნიშნად ბილეთი გაუგზავნა პრემიერაზე დასასწრებლად.

როდესაც ხელოსანმა მსახიობს შესრულებული სამუშაოს ანგარიში წარუდგინა, შიგ ეწერა: კიდევ ხუთი მარკა თეატრში გაცდენილი ზედმეტი ორი საათისათვის.

თავის დაძვრენა

გენერალს არ მოეწონა ერთ-ერთი ბატალიონის მხედრული გამართულობა და მეთაურს უკმაყოფილოდ უთხრა:

— იმედი არა მაქვს, რომ მომავალ წელსაც ბატალიონის მეთაურად გიხილავთ.

— რატომ, თქვენო აღმატებულებავ, ჯერ ისევ მხნედ გამოიყურებით, — მიუგო მან.

გერმანულიდან თარგმნა
შ. ამირანაშვილმა

მოდით, ერთად ჩავუფიქრდეთ სიტყვას „აქტივისტი“. აქტივისტი ის არის, ვინც აქტიურობას იჩენს, ვინც ინიციატივიანი და მოწინავეა რაიმე საქმეში, რაზმში თუ რაზმეულში კი ეს ის პიონერია, ვისაც თანატოლები თავიანთ პიონერულ მეთაურად ირჩევენ, ვინც შედის რაზმისა თუ რაზმეულის საბჭოს შემადგენლობაში, ვისაც დავალებული აქვს კონკრეტული საქმე მარშის რომელიმე მარშრუტზე.

მოდით, იმასაც ჩავუფიქრდეთ, ისე ხომ არ ხდება, რომ აქტივისტის საქმიანობის შეფასებისას მხოლოდ იმ პიონერული დავალებების ჩამოთვლას იწყებენ, რომლებიც აქტივისტის სახელით ცნობილ ბავშვებს ევალება?

აქტივისტს აქტიური დამოკიდებულება უნდა ახასიათებდეს ყველაფრისადმი, რაც მის გარშემო ხდება. ასეთი ადამიანი ცხოვრებაში მუდამ გამოირჩევა. ამჯერად ჩვენი კლუბის მრგვალი მაგიდის ირგვლივ ვმართავთ საუბარს საკითხზე: საზოგადოებრივი მუშაობა და საზოგადოებრივი აქტიურობა. რატომ დადგა ეს საკითხი დღის წესრიგში? ამას წინათ „კოცონის“ სახელზე ნატო ვაშაყმაძის ბარათი მივიღეთ. გოგონა გვწერს, დავალებებს ან საქმეს თუ მოვთხოვ თანარაზმელებს, ერთი პასუხი მესმის, „არ მცალია“, „ვერ გავაკეთებ“, ამიტომ ხშირად თანატოლებთან უსიამოვნება მაქვს ხოლმე. შინაც მისაყვედურეს, ნეტა რაში გჭირდება ეს შენი აქტივისტობა, ხომ ხედავ შენთვის უსიამოვნების მეტი არაფერი მოგაქვსო.

ნატოს ბარათი პიონერებს გავაცანით. რისთვის სჭირდება ადამიანს საზოგადოებრივი აქტიურობა? როგორ ესმით პიონერებს ამ საკითხის არსი:

ნატო კვირკველია (გეგეჭკორის რაიონი) — ჩვენს რაზმეულში ბევრია კარგი და აქტიური პიონერი. მათ შორის ერთ-ერთი თამრიკოა. მისი აქტიურობა უპირველესად სწავლისადმი დამოკიდებულებაში გამოჩნდა, თვითონ ხომ ბეჯითად სწავლობს და სწავლობს, ამხანაგებსაც ეხმარება. თავის ცოდნას გადასცემს, გატაცებებს აცნობს. იცით, რას გამოვარჩევთ მის ხასიათში? — იგი უაღრესად კეთილია, უმცროსებისადმი ყურადღებიანი. მაგრამ ეს ცოტაა, პიონერულ საქმიანობაში ის ძალზე აქტიურია; თავიდანვე გულიანად მოეკიდა ოქტომბრელებთან მუშაობას. ოქტომბრელთა ჯგუფში საინტერესო შეკრება მოაწყო თემაზე: „ოქტომბრელები მომავალი პიონერები არიან“.

და კიდევ აი, რა: თამრიკო ოქტომბრელებს მოელაპარაკა და მათ საბავშვო ბაღის პატარებზე აიღეს შეფობა, თამრიკომ თვითონვე წაიყვანა უმცროსი მეგობრები საბავშვო ბაღში. ყველა საქმეს ხალისიანად ჰკიდებს ხელს, ამასთან ერთად ამხანაგებსაც იზიდავს თავისკენ.

ქეთინო კომახიძე (ბათუმი) — არ შეიძლება თანაკლასელებს აქტიურობისათვის

პიონერული აქტივის კლუბის მუშაობას ხელმძღვანელობს ნორჩ პიონერთა რესპუბლიკური საბჭოს წევრი ნათელა ფაილოძე.

შენი აქტიური პოზიცია

არ უყვარდე. ეს ხომ კარგი თვისებაა.

ამასთან ერთად, შენს ხასიათსაც უნდა დაუკვირდე, იქნებ შენი ხასიათის ყველა იმ თვისება, საქმეში აქტიურობისას რომ ვლინდება, არ არის მოსაწონი?

აქტივისტები არც ისე ცოტა არიან, ზოგჯერ ბავშვებს არ მოსწონთ აქტივისტის სასიათის რომელიღაც მხარე, ამიტომაც უსიამოვნება აქვს თანატოლებთან.

თინიკო გენძეხაძე (ქუთაისი) — ერთხელ შეგვკრიბეს და პიონერულ აქტივს ასეთი შეკითხვა მოგვცეს: რას გაძლევთ აქტიურობა? შეკითხვას მე ჩემი მაგალითით ვუპასუხე — ბევრი მეგობარი შემძინა-მეთქი. თუმცა სჯობია თავიდან მოგითხროთ. სპორტულ სექციაში დავიწყე სიარული, არცოუ ურიგო მიღწევები მქონდა, ჩემი რაზმის არც ერთ წევრთან კი არ ვმეგობრობდი.

ერთხელ პიონერხელმძღვანელმა დამიძახა და „ზხიარულ სტარტებზე“ საქალაქო ღონისძიებაში მიმაღებინა მონაწილეობა. ჩემი წარმატებით სკოლას ქულები შევმატე, ჩემი რაზმიც სიამაყით აივსო. აქ იმასაც მივხვდი, რა ვეჭირდება მე და ჩემს რაზმს და იმასაც, რომ ჩემის მხრივ მანამდე ყურადღება მოკლული მას. ამის შემდეგ ყველა საქმეში ვმონაწილეობ.

ანა ივანოვა (ქუთაისი) — მივიღე სამკერდე ნიშანი „აქტიური მუშაობისათვის“. რისთვის?

შარშან ისეთი დავალება მომცეს, მარტოკა ვერ გავუმკლავდებოდი. დახმარებისათვის ჩემი რაზმის ამხანაგებს მივმართე. მათი ხელშეწყობით ოქტომბრელებთან მუშაობა გამოვაცოცხლე, ისე, რომ სამკერდე ნიშანი ამხანაგების დახმარებით მივიღე.

ნათელა ნაფეტვარიძე (სამტრედია) — დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ ჩემ ზოგადოებრივი მუშაობა და აქტიურობა ... უკეთესო საშუალებაა მოწყენილობის საწინააღმდეგოდ. უსაქმურობისაგან კი ზოგჯერ ბევრია ხოლმე მოწყენილი; ზოგიერთს თვითონ არაფრის გაკეთება სურს, და ვინც აქტიურობს, იმასაც ხელს უშლის მუშაობაში.

ნელი აბრბა (სოხუმი) — რაზმი კოლექტივია. კოლექტივი კი ადამიანებისაგან შედგება, მათი დამეგობრება მხოლოდ საერთო საქმით შეიძლება. აქტიურობა ნიშნავს, რომ მუდამ ეძებ გასაკეთებელ საქმეს. საქმე კი ჩვენს ირგვლივ ძალზე ბევრია. მეგობრობამ წარმატება მოგვიტანა. ჩვენი რაზმი პირველია მარშზე, და ეს პიონერთა აქტიურობითა და ერთმანეთთან კეთილი დამოკიდებულებით შევძელით.

ნათელა წულუკიძე (წულუკიძის რაიონი) — ჩემი ყოველი დღე საქმეებითაა დატვირთული. შინაც უკვირთ, რად გინდა ზედმეტი სამუშაოო, მაგრამ მე ხომ ჩემს სამოქმედო დევიზად ავირჩიე: — თუ არა მე, შენ, მაშ ვინ გააკეთებს საქმეს რაზმში? ხომ ჩაკვდა მაშინ პიონერული ცხოვრება?

ლამარა ჭანტურია (სოხუმი) — საზოგადოებრივი მუშაობა... თვით სიტყვა ლაპარაკობს იმაზე, რომ ეს სამუშაო საზოგადოებისათვის სრულდება, ე. ი. ყველას სჭირდება! საქმით კი ყველაა დაკავებული, მთელი ჩემი ოჯახი — დედა, მამა, ძმა, ბებია, საზოგადოებრივ მუშაობას ჩვენ ჩვენი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად ვთვლით.

ეთერ შურღაია (ფოთი) — ჩემი სურვილია ყველა რაზმში მოეწყოს შეკრება თემაზე „აქტიურობა და რაზმი“. წარმოდგენილი მაქვს, რამდენი რამ ითქმება საინტერესო და საგულისხმო.

თუ მსჯელობას გამართავთ, გირჩევთ მიაქციოთ ყურადღება შემდეგ შეკითხვებს:

1. გყავს კარგი მეგობარი? ვინ არის ის? როგორ დაიწყო ეს მეგობრობა, რაზეა დაფუძნებული თქვენი დამოკიდებულება და როგორ უწყობს იგი ხელს შენს აქტიურობას რაზმში?

2. რა მოუტანა შენს პიონერულ კოლექტივს, მის ცხოვრებას მეგობრობამ?

3. რა მოგწონს შენი მეგობრის ხასიათში? ან რა გაიძულებს ჩამოშორდე მას?

4. შეგიძლია ამხანაგს თვალი გაუსწორო და სიმართლე პირში უთხრა? ან შენ თვითონ შეგიძლია მიიღო კრიტიკა ისე, რომ არ გაბრაზდე?

მეგობრობა ეხმარება აქტივისტს თანარაზმელებთან, თანატოლებთან ურთიერთობაში, **აქტიური** პოზიციის წარმოჩენაში.

ველით თქვენს ბარათებს **საკითხზე: „შენი აქტიური პოზიცია“. წერილები გამოგზავნეთ მისამართით:** 380096, **ლენინის ქ. № 14. ჟურნალ „პიონერის“ რედაქცია. პიონერული** აქტივის კლუბ **„კოცონს“.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი საგამოფენო დარბაზი

ტიციანი. ვენეციელი დოჟი მარკ ანტონიო ტრევიზანი

არ არსებობს ქვეყნად ვენეციაზე უფრო საოცარი ქალაქი. „ადრიატიკის მარგალიტს" უწოდებდნენ მას ძველთაგანვე. მსოფლიოს ყველა კუთხეშია ცნობილი ვენეციის მშვენიერი სასახლეები, მოედნები და ტაძრები, აღტაცებას იწვევს მისი არხები და კამკამა ზღვისფერი ცა. და ალბათ, არც არის გასაკვირი, რომ სწორედ აქ იშვა ხელოვნების ერთ-ერთი ყველაზე ბრწყინვალე კერა — ვენეციის მხატვრული სკოლა.

ესპანეთის უდიდესი მხატვარი ველასკესი წერდა: „ვენეცია სილამაზის სრულყოფილებაა და პირველ ადგილს მე ვანიჭებ ფერწერას, რომლის მედროშეც არის ტიციანი!" და მართლაც, სწორედ ტიციანის გენიამ გაასხივოსნა მთელი ვენეციური ფერწერა. ტიციანი იყო და დარჩა „ფერწერის ღმერთად".

ტიციანი, ანუ ტიციანო ვეჩელიო, დაიბადა სამხედრო პირის ოჯახში ქალაქ პიევე-და-კადორეში, მაგრამ მთელი სიცოცხლე ვენეციაში გაატარა. გარდაიცვალა 1576 წელს 99 წლისა, მაგრამ არა სიბერის, არამედ შავი ჭირის ეპიდემიის გამო. ტიციანი უგანათლებულესი პიროვნება და საოცარი მოსაუბრე იყო. მასთან მეგობრობდნენ იტალიის სახელგანთქმული ჰუმანისტები, მეცნიერები, ლიტერატორები — პიეტრო არეტინო, იაკობო სანოვინო, კარდინალი ბემბო და სხვები.

ტიციანმა უამრავი ტილო შექმნა მითოლოგიურ და ბიბლიურ სიუჟეტებზე. მას აქვს ჯგუფური და განცალკევებული, სრულფიგურიანი და ნახევარფიგურიანი პორტრეტები. ყოველი მათგანი უნიკალურია, არც ერთი არა ჰგავს მეორეს არც კომპოზიციური გადაწყვეტით, არც ფერადოვნებით. და, რაც მთავარია, თითოეული გვიჩვენებს პიროვნების თავისებურებას, განუმეორებლობას, ღრმად სწვდება ადამიანის სულს.

ტიციანს პორტრეტებს უკვეთავდნენ ფილოსოფოსები და არისტოკრატები, დოჟები და კარდინალები, რომის პაპები, მეფეები და იმპერატორები. იმ დროის ყველაზე ძლიერმა ხელმწიფემ, იმპერატორმა კარლოს V-მ, რომლის „საბრძანებელში მზე არ ჩადიოდა", ტიციანი თავისთან მიიწვია აუგსბურგში და გრაფის ტიტული უბოძა, მაგრამ ამაზე უფრო მეტ საოცრებად იმ დროს მიიჩნიეს ის, რომ ერთხელ, ხატვისას ტიციანს ფუნჯი დაუვარდა და, თურმე ნუ იტყვით, იმპერატორი დაიხარა, ფუნჯი აიღო და ოსტატს მიაწოდა, ამ გაუგონარი საქციელით ზაოგნებულ კარისკაცებს კი უთხრა: „მე შემიძლია ნებისმიერი მდაბიოსაგან შევქმნა გრაფი, მაგრამ ვერ შევქმნი ვერცერთ ტიციანს".

ტიციანი იყო ვენეციის რესპუბლიკის ოფიციალური მხატვარი-სენზორიუსი — მას ევალებოდა სახელმწიფოს მეთაურთა პორტრეტების შექმნა. მათგან ერთ-ერთი — ვენეციელი დოჟის მარკ ანტონიო ტრევიზანის სურათი — ტიციანის ჭეშმარიტი შედევრთაგანია. დოჟის ფიგურა თითქოს მუქი უავისფერი სივრციდან იზიდება. ფონი ბნელით არის მოცული, თავად ფიგურა კი — თბილი, ოქროსფერი სხივებით განათებული. ეს კონტრასტი ხაზს უსვამს მედიდურ, მკაცრ, ძლიერ ნაკვთებიან სახესა და ცეცხლისფრად აელვარებულ ტანისამოსს. ამ პორტრეტში გასაოცარი ჰარმონიულობით არის შერწყმული ადამიანის სულის სიღრმეში წვდომის უბადლო უნარი და დაუცხრომელი ინტერესი სურათის ფერადოვანი გადაწყვეტისადმი. სწორედ ფერთა მეშვეობით უფრო მეტად, ვიდრე ნახატით, გადმოგვცემს ტიციანი აღმოსავლური ნაქარგი მოსასხამის ორნამენტებს, მსხვილი ღილების მდიდრულ ჩუქურთმას, შინდისფერი ხავერდის სილბოს, ჭაღარაშერეული მოკლე წვერის სიფაფუკეს, ძერწავს სახის რელიეფურ, ცოცხალ ნაკვთებს. ფიგურის კონტურები არ არის ხაზგასმული. ისინი თითქოს იძირებიან გარემომცველ სიბნელეში, რაც ფერწერულობას მატებს ნახატს. სურათში მთავარი, ყველაზე მეტყველი მაინც დოჟის სახე და ხელის მტევანია, რომლებიც ხაზგასმულია თავსაბურის მკვეთრი თეთრი ლაქით და თეთრი ცხვირსახოცით. ადამიანის ხასიათს ხომ სწორედ სახე და ხელები გამოჰკვეთენ. საკმარისია თვალი შევავლოთ საოცრად ცოცხალ მზერას, ოდნავ შეშმუხნულ წარბებს, დაშვებულ ტუჩის ბოლოებს, მკვეთრად მოხრილ ხელს, ძლიერად რომ ჩაუღუჭავს ქსოვილი, და მაშინვე ვიგრძნობთ ამ ადამიანის ხასიათის ძალას, სიმკაცრეს, გამჭრიახობას. ეს ერთი სურათიც საკმარისია, რომ მივხვდეთ, რატომ ატყვევებს ტიციანის ხელოვნება კაცობრიობას.

თეო ჯალაღანია,
ხელოვნებათმცოდნე

პასუხი 1984 წლის № 7-ში დასმულ კითხვებზე



გიორგი საკაძის კოშკი ნოსტეში

კოშკი ციხე-ქალაქის, ციხესიმაგრის, ციხე-დარბაზის, გალავნის განუყოფელი ნაწილია. ამას გარდა, იგი დამოუკიდებელი სიმაგრის როლსაც ასრულებდა. დიდ ციხესიმაგრეში ძალთა კონსოლიდაციის ადგილი კოშკი იყო. არსებობდა განცალკევებით მდგარი კოშკები, რომლებსაც სადაზვერვო და საცხოვრებელ-თავდაცვითი მნიშვნელობა ჰქონდათ. სადაზვერვო კოშკი ჩართული იყო ქვეყნის დაცვის ერთიან სისტემაში, ამიტომ მას სტრატეგიულად ხელსაყრელ ადგილას აგებდნენ. ასეთ კოშკებს შორის გარკვეული კავშირი არსებობდა: პირველს სიგნალი უნდა გადაეცა უახლოესი კოშკისათვის და ასე უნდა გაგრძელებულიყო მანამ, სანამ მთელი ქვეყანა არ შეიტყობდა მოახლოებულ საფრთხეს (მტრის შემოსევას).

კოშკებს საქართველოში ჯერ კიდევ ანტიკურ პერიოდში აგებდნენ. სამწუხაროდ, ჩვენამდე მათ არ მოუღწევიათ. აკად. გიორგი ჩუბინიშვილს დავით გარეჯის მრავალთიერ ლავრის მონასტრის სათვალთვალო კოშკი ადრინდელი შუასაუკუნეების ძეგლად მიაჩნია. XVI საუკუნის მიწურულში გაჩნდა რამდენიმე სათვალთვალო კოშკი (დოდოს რქისა და ჩიჩხიტურის კოშკები დავით გარეჯის კომპლექსში). ალექსანდრე კახთა მეფის 1590 წლის სიგელში მოხსენიებული „ორ-ორი ყარაული“ სწორედ ეს კოშკები უნდა იყოს. სავარაუდებელია, რომ საქართველოში ყველა ეკლესია გამაგრებული იყო, იქ აუცილებლად კოშკიც იქნებოდა გალავანში ჩატანებული. ამის კარგი მაგალითებია თაბორი ცაგერის რაიონში, ილტოზა დუშეთის რაიონში და სხვ.

გიორგი საკაძის კოშკი კასპის რაიონში, სოფელ ნოსტეში, ზღვის დონიდან 960 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს კასპიდან 21 კმ დაშორებით. ნოსტე მეტეხთან კიდევ უფრო ახლოსაა (13 კმ). ნოსტეში გიორგი საკაძის ციხე-დარბაზისა და აღნიშნული კოშკის გარდა სოფლის სამხრეთ-დასავლეთით, ხევგალმა, გორაკზე დგას „სამებისა“ (XVI ს.) და „ღვთისმშობლის“ (XVII ს.) ეკლესიები. საკაძის კოშკის აგების ზუსტი თარიღი ჩვენთვის უცნობია, მისი დადგენა მხოლოდ ისტორიული საბუთების შეჯერებით თუ მოხერხდება. 1610-იანი წლებისათვის საკაძის საგვარეულოს უკვე ჰქონდა ყველაფერი, რაც აუცილებელი იყო დიდ ფეოდალისათვის: საკუთარი ციხე, ეკლესია-მონასტერი და სხვ. (1609 წელს საკაძე ხომ უკვე თბილისის მოურავი და ლუარსაბ მეფესთან დაახლოებული პირია). 1612 წელს გიორგი საკაძე შაჰის კარზეა. შემდეგ, როგორც ვიცით, იგი საქართველოში დაბრუნდა, 1616 წელს აღადგინა თავისი დანგრეული მამული და, ალბათ, სასახლეც და კოშკიც. ამრიგად, საკაძის სასახლე და კოშკი XVII საუკუნის პირველი ნახევრის ძეგლია. საკაძის კოშკი ჩვენამდე თავდაპირველი სახით მოვიდა. იგი საცხოვრებელი არ არის, მხოლოდ სამხედრო დანიშნულებისაა. ეს გახლავთ ხუთსართულიანი კვადრატული ნაგებობა (5,5 × 5,5 მ). პირველი სართული ახლა მიწითაა ამოვსებული. სახურავშუა გადახურვა ხისა იყო და ამიტომ აღარ გადარჩენილა. შეიმჩნევა მხოლოდ სართულშუა კოჭების ჩასასმელი ბუდეები. შესასვლელი კარი მეორე სართულზე აქვს გაკეთებული. კოშკს არ ჰქონდა არავითარი კეთილმოწყობა, არც შელესილი იყო. რაკი მას მხოლოდ თავშესაფრად და საბრძოლველად იყენებდნენ, ამიტომ იგი აუცილებლად სასახლესთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. სასახლე ამჟამად დანგრეულია. კოშკის სათოფურების რაოდენობა მცირეა; მეორე სართულზე მხოლოდ ორი სათოფურია, ისიც ძალზე მარტივი, შემდეგ არის ორმაგი სათოფური, სულ ზემოთ კი მაშიკულებია. ამბრაზურის სიმცირე და სიმარტივე კოშკის სიძველეზე მიუთითებს. მეორე სართულს შესასვლელის გარდა აქვს სარკმლებიც, მეხუთე სართულს ოთხი სარკმელი აქვს. აქვეა სამკუთხა ფორმის „თაღები“. კოშკი წვრილი და მაღალია. იგი ზე-

ჯადოსნური დირიჟორის წკირი ანუ ბგერები ბუნებაში და სმენის ესთეტიკა

სამყარო სავსეა ბგერებით — მაღალითა და დაბალით, რბილითა და მკვეთრით, ჰარმონიულითა და ქაოსურით. ბგერებს გამოსცემენ ცოცხალი ორგანიზმები: ჩიტები გალობენ, ირემი ყვირის, მამალი ყივის, საქონელი ბღავის, ლომი ღრიალებს, არწივი ყაშყაშებს, ბაყაყი ყიყინებს... კოღო რომ კოღოა, ისიც გამოსცემს თავის ბგერებს — ფრენისას ფრთებს ისე ხშირად იქნევს, რომ ჰაერში ისმის დამახასიათებელი წუილი. ცხოველთა სამყაროს ხმები ბიოლოგიის ერთ-ერთი საინტერესო თემაა. ბგერები გამოხატავენ ფაუნის წარმომადგენლების ძალას, ანდა, პირიქით, უძლურებას. ეს ბგერები სიგნალთა თავისებური სისტემაა. კარგი ნატურალისტისათვის ძნელი არ არის ბგერებით „მიუხვდეს“ ნადირ-ფრინველებს „სულიერ განწყობილებას“: ვინ ტკბება სიცოცხლით, ან ვინ ემშვიდობება მიწასა და მზეს, ვინ თავდასხმისათვის ემზადება და ვინ — თავდასაცავად, ვინ არის ძლიერი, ანდა, პირიქით, სუსტი, და ა. შ.

ამჯერად ჩვენი საუბრის თემაა ბუნების ხმები, როგორც ესთეტიკური ფენომენი.

ცხოველთა სამყაროში ცოტა როდია ნამდვილი მომღერალი. მაგალითად, იმპროვიზაციის დიდ უნარს ამჟღავნებს მგელი. შვედი მეცნიერი ერიკ ციმენი, რომელიც რამდენიმე წლის განმავლობაში სწავლობდა მგლების ცხოვრებას, თვლის, რომ მგლების „გუნდური სიმღერა“ მხოლოდ სხვა ხროვებთან ურთიერთობის საშუალება კი არ არის, არამედ მას ემოციური საფუძველიც აქვს.

და მაინც, ოთხფეხებს შორის საუკეთესო ვოკალისტებად ითვლებიან გიბონები — სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ტროპიკულ ტყეებში მობინადრე არცთუ დიდი ზომის, ადამიანის მსგავსი მაიმუნები. თავიანთ გასაოცარ კონცერტებს ეს

ფოტო ავტორისა

*

გავშვებო, მოგვწერეთ
რა არის ამ ფოტოზე
აღბეჭდილი და რა იცით
მის შესახებ.

*

მოთკენ საგრძნობლად ვიწროვდება. კედლის ზედაპირი შიგნითაა დაქანებული. აღნიშნული დეტალები ადრეულ კოშკებს ახასიათებს. ნოსტეს კოშკი თავისი საერთო იერით და დეტალებით აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის კოშკებს უახლოვდება — თითო მაშიკული ყოველ ფასადზე და მისი სწორკუთხოვნება უმეტესად მთაში გვხვდება. ნოსტეს კოშკს, გარდა ამისა, აქვს სამკუთხა კრონშტეინები. კოშკი თეთრი, სწორად ნატეხი წვრილი ქვითაა ნაშენი. წყობა გლუვი და სუფთაა. კედლის სისქე ქვედა ნაწილში 80 სმ-ია.

ნოსტეს კოშკი თავისი არქიტექტურული ხასიათით, გეგმით, პროპორციებითა და აგების ტექნიკით ენათესავება სხვა რაიონებში აგებულ კოშკებს. იგი ერთ-ერთი საუკეთესო და ამ სახის ერთ-ერთი ყველაზე ადრეული ნაგებობაა საქართველოში.

ამირან ჩხარტიშვილი,
ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი.

მაიმუნები დილაობით აწყობენ.

ფრინველთა სამყაროში გამოირჩევიან უბადლო მომღერლები: ადამიანის მახლობლად — შოშია, ტყეში — შაშვი, ველად — ტოროლა, ბაღებსა და ხეივნებში კი — ბულბული.

გაზაფხულის ტყეში პირველი შაშვი იწყებს გალობას. საღამოობითაც იგი უკანასკნელი ჩუმდება. მისი კრიალა, ნათელი ბგერებით სავსე ხმა მთელ ტყეს ეფინება.

ვის არ სმენია ველის ტოროლას გალობა, ვინ არ დამტკბარა მისი ზარივით წკრიალა ხმით. ტოროლა ჩვენი ადრეული სტუმარია. როცა ის მოფრინდება, მინდორ-ველად აქა-იქ ჯერ კიდევ შემორჩენილია ხოლმე თოვლი. მოფრინდება და იწყებს გალობას — ისარივით აიჭრება ცის ტატნობისკენ, მერე უფრო და უფრო მაღლა მიიწევს, სანამ ზეცის სილურჯეში ჯერ წერტილად არ გადაიქცევა, ხოლო შემდეგ სულ არ გაუჩინარდება. საოცრად გულში ჩამწვდომია ტოროლას რაკრაკი. არაერთი მუსიკოსი ცდილა აესახა სიხარულის ეს ჰიმნი თავის შემოქმედებაში.

ტოროლა გაზაფხულის დილის და მზის მეხოტბეა, სიცოცხლის მომღერალი. ვინ იმსახურებს მასზე მეტ ქება-დიდებას?

მხოლოდ და მხოლოდ ბულბული! გაზაფხულის მყუდრო ღამე სხვადასხვა ხმით არის სავსე, ხოლო ყველაზე ტკბილი და მომხიბვლელი მათგან ბულბულის სტვენაა. არ არსებობს სულდგმული, რომლის ხმაც თავისი **სიმდიდრით**, მოქნილობით, **სიმშვენიერით** ამ პატარა ფრთოსნის ხმას **ედრებოდეს.**

ბულბულს საკუთრივ თავისი გალობა **აქვს. ამას** იმიტომ ვამბობთ, რომ ბევრი მგალობელი ფრინველის სიმღერაში სხვათა მელოდიებია შერეული. თითოეულ ბულბულს შეუძლია გააუმჯობესოს ან შეცვალოს თავისი გალობა. ახალგაზრდა ბულბულები სუსტად და გაუბედავად მღერიან, გამოცდილთა სიმღერა კი საოცრად სანეტარო, უჩვეულოდ ფაქიზი და მომხიბლავია.

გაგრძელება იქნება

ა. გეგეჭკორი,
ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბავშვთა ფიზიკა

ავტომატური სიფონი

ჩვეულებრივი სიფონი — მოწყობილობა სითხის გადატუმბვისათვის — იმდენად მარტივია, რომ მის სრულყოფაზე ფიქრიც კი ზედმეტი გვეჩვენება. თან შეგუებული ვართ სიფონის ერთადერთ ნაკლს: მუშაობა რომ დაიწყოს, თავდაპირველად მის მუხლებში არსებული ჰაერის გამოდევნაა აუცილებელი. და რაოდენ გასაოცარია გამჭრიახობა ადამიანის გონებისა, რომელმაც გაიაზრა ამ ნაკლის არსი და მისთვის გვერდის ავლა ხულ უბრალო, პრიმიტიული საშუალებებით მოახერხა.

ახლა ჩვენ ავტომატურ სიფონზე მოგიყვებით.

აიღეთ დაახლოებით 60 სმ სიგრძისა და 3-4 მმ შიგა დიამეტრის მქონე მინის მილი, ალზე გაახურეთ და ისე მოხარეთ, რომ ცალი მუხლი 25 სმ სიგრძე გამოვიდეს (ნახ. 1). ამ მუხლზე, ბოლოდან 33-35 მმ დაშორებით, წყალში დასველებული წმინდა ქლიბის წიბოთი ფაქიზად ამოჭერით პატარა, არა უმეტეს 0,5-1 მმ² ფართობის მქონე ხვრელი (1). ხადგისით გახვრიტეთ პინგ-პონგის ბურთულის კედელი და ნახვრეტი მრგვალი წმინდა ქლიბით ისე გააფართოვეთ, რომ მინის მილი ძალით შეიყვანოთ შიგ. მილის ბოლო ბურთულის დიამეტრულად მოპირდაპირე კედელს უნდა ებჯინებოდეს, ამასთან, მილში თქვენს მიერ ამოჭრილი ხვრელი ბურთულის



შიგნით, მისი ზედაპირის სიახლოვეს უნდა იმყოფებოდეს (ნახ. 1). აუცილებელია, რომ მილი ჰერმეტულად იჯდეს ბურთულის ხვრელში. თუ ეს ვერ მოახერხეთ, დარჩენილი ღრეჩო პლასტილინით შეგიძლიათ ამოგლესოთ. პინგ-პონგის ბურთულაში, კედელს მიბჯენილი მილის ბოლოს სიახლოვეს, კიდევ ერთი, დაახლოებით 1 მმ საწყისი დიამეტრის ხვრელი გააკეთეთ (2).

ახლა სწრაფად ჩაუშვით სიფონის ბურთულიანი ბოლო წყლიან ჭიქაში. თითქმის მყისვე მუხლში გაჩნდება ჰაერის ბუშტუკებით დანაწევრებული აღმავალი წყლის სვეტი, ნელ-ნელ აღწევს სიფონის მოღუნულ ადგილს — მარჯვენა მუხლით ძირს ეშვება (ნახ. 2) და ცოტა ხნის შემდეგ ამ მეორე ბოლოდან უწყვეტი ნაკადი იწყებს დენას!

თუ ცდა არ გამოგივიდათ, ეს ნიშნავს, რომ საჭიროა ხელსაწყოს უფრო გულდასმით რეგულირება. ავტომატური სიფონის მუშაობა მილისა და ბურთულის ნახვრეტების ფართობთა სწორ შერჩევაზეა დამოკიდებული ბურთულის ნახვრეტის წმინდა ქლიბით თანდათანობით გაფართოებით, ბოლოს და ბოლოს, საუკეთესო შედეგებსაც მიაღწევთ, ამის შემდეგ შეგიძლიათ ბურთულა და მილი „ბფ“ წებოთი შეაწებოთ ერთიმეორეს.

რა პრინციპით მოქმედებს ავტომატური სიფონი?

დააკვირდით 1-ლ ნახაზს. როცა ბურთულას წყლიან ჭიქაში ვათავსებთ, წყალი იწყებს შედენას „2“ ხვრელის გავლით. ამავდროულად სითხე ზევით იწევს მინის მილშიც, სადაც იგი ბურთულაში მყოფი ღია ბოლოდან ხვდება. მილში წყალი სწრაფად ადის მაღლა, მალე მიადგება თქვენს მიერ გაკეთებულ „1“ ნახვრეტს და თითქოს კეტავს მას. ბურთულის ავსების კვალობაზე მასში მატულობს ჰაერის წნევა. გარკვეულ მომენტში მილის „1“ ხვრელში პაწია ჰაერის ბუშტულა „გასხლტება“. იგი მოჰკვეთს წყლის სვეტის მცირე ნაწილს და ზევით სწევს მას. მილში აწეული წყალი ისევ კეტავს „1“ ხვრელს, და ისევ შეკუმშული ჰაერი მოჰკვეთს წყლის სვეტის მორიგ ულუფას. ამრიგად, მილში წარმოიქმნება წყალ-ჰაერის სვეტი, რომლის საშუალო სიმკვრივეც წყლის სიმკვრივეზე ნაკლებია. ჰიდროსტატიკური წნევის გავლენით ეს სვეტი ადის გადაღუნვის ადგილამდე, გადაედინება მეორე მუხლში და, როცა ბურთულა წყლით მთლიანად აივსება, თან გაიყოლებს სითხის უწყვეტ ნაკადს. და სიფონი მუშაობას იწყებს.

ვ. მაიერი,
ნ. ნაზაროვი.

საინტერესო სიახლენი

ბრალი ედება ჰიდროელექტროსადგურს

ბრაზილიისა და პარაგვაის სასაზღვრო რაიონში მომხდარ მიწისძვრაში ბრალი მიუძღვის მდინარე პარანაზე აგებულ დედამიწის უდიდეს ელექტროსადგურ „იტაპუს“. ექსპედიციამ, რომელმაც კატასტროფის ადგილი დაათვალიერა, ასეთი რამ დაასკვნა: მიწისძვრის მიზეზია ან წყლით გაჯერებული ნიადაგქვეშა ფენების სტრუქტურული ცვლილება, რაც შეეძლო გამოეწვია გრანდიოზულ წყალსაცავს (მისი მოცულობა 32 მილიარდი კუბური მეტრია!), ან შეგუებული წყლის მასის კოლოსალურ წნევას. მიწისძვრა მოხდა ზედაპირთან ახლომდებარე ფენებში — ათიოდე მეტრის სიღრმეზე. აღწერილი შემთხვევა კიდევ ერთხელ ადასტურებს მეცნიერთა ჯარაუდს იმის თაობაზე, რომ მსხვილ ელექტროსადგურებს შეუძლიათ გამოიწვიონ კატასტროფული მიწისძვრები.

ლიფტების ავტომატური დისპეტჩერი

ბულგარელმა სპეციალისტებმა დაამუშავეს ლიფტების მართვის სისტემა მიკროპროცესორის საშუალებით. სისტემა, რომელიც მთლიანად ცვლის ტრადიციულ მართვას, მგზავრთა უფრო ეფექტურ გადაყვანას ემსახურება. ავტომატიკა აგზავნის ლიფტს სართულზე და ითვალისწინებს გამოძახების დროს, ლიფტის დატვირთვის დონეს, პიკის საათებს (დაწესებულებებსა და მაღლივ შენობებში). მიკროპროცესორი ზოგავს არა მარტო ნერვებსა და დროს, არამედ ელექტროენერგიასაც, თან მინიმუმამდე დაჰყავს ცარიელი რეისები.

უახლოეს დროში ელექტრონული მართვა ისე გამარტივდება, რომ შესაძლებელი გახდება მისი გამოყენება მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლებში.

ჟურნალ „პიონერში“ 1984 წელს დაბეჭდილი მასალების საძიებელი

პოეზია

ჩხეტიანი მ. — წელი მოვიდა ახალი, №1; სექტემბერი, № 9; ოუ, ჩელა; ნონას, № 11.
ივარდავა დ. — სამი შტრიხი სამი პორტრეტისათვის, № 1.
სვანიძე ბ. — მეშინია იმ ხელების; უსათაურო, № 2.
ნეფარიძე ჯ. — წყარო; ვაზი, № 2.
მელქონიანი ვ. — ერთმა დედამ გამოგვზარდა, № 2.
დიდებაშვილი ა. — სვეტიცხოველი, № 2; დიდი ოჯახი; თავთუხის ველები, № 11.
კვანტალიანი შ. —ახალგაზრდობა; ენავ, დედაო ჩემო, № 3.
ბიწაძე მ. — მამული; სამშობლო მიწავ; უსათაურო; გვირილა, № 3.
შეთეკაური ბ. — შენ ხალხის გულში ჭაბუკი დარჩი, № 4.
გველესიანი ო. — მამულის საგალობელი, № 4.
მეგრელიშვილი ა. — პირველი მაისი, № 5; ლექსები, № 10.
მეგურიშვილი ტ. — ცეცხლთან თამაშობს ვინც დღენიადაგ; მახსოვს, № 5.
შამანაძე ნ. — ლექსები, № 5.
ბართაია ე. — ქვეყანა რომ ლამაზია, № 7.
ჭიჭინაძე ბ. — ტაშფანდურა; მზე და მთვარე, № 8.
სტვილია ლ. — ეს ქვეყანა შენია! ჩემი ჩაის შვიდი მწკრივი, № 8.
აფციაური ი. — ახალი ზარები; შვილი; მზემ მამული დამატარა, № 8.
გურგენიძე ა. — სხვა ოცნების მწვერვალები, № 9.
კოგბერიძე თ. — მამულო, № 9.
მიქაძე ქ. — ვერა, ვერ დავთმობ, № 10.
გოგოლაშვილი ვ. — უნდა გაბედო; ნია, № 12.

პროზა, დრამატურგია

ანტონოვი ს. — მოუხდელი ვალი, № 1.
გაიდარი ა. — სამხედრო საიდუმლოების ზღაპარი, № 1.
აფხაზავა ნ. — იუნგა, ცეცხლი! № 1—3.
ჩალაური თ. — მძიმე ნანადირევი, № 1; უჯიათი, № 8.
ასლამაზიშვილი ვ. — მოთხრობები პურზე, № 2; მუხტარა, № 7; ცარცით დახატული კარი; ვაზმა გაიღვიძა, № 11.
დევდარიანი ა. — პირველი ტკივილი, № 3.
საროიანი უ. — ორი და სამი, დახურე კარი, № 3.
შაგინიანი მ. — ისტორიის საგამოცდო ბილეთი, № 4.
გელაშვილი მ. — მამა; სიყვარული აგვამაღლებს, № 4.
ჩახავა მ. — მოხუცი შანდორი, № 4.
ტოლსტიკოვი ა. — ყინულზე, № 4.
ვორონკოვა ლ. — ალექსანდრეს ბავშვობა და ახალგაზრდობა, № 4.
კოგბერიძე ა. — ჩემი აყვავებული კუნელი, № 5.
ნოზაძე ბ. — ყვითელი მზე, № 5.
ვადაჭკორია დ. — ბრუტი, № 5.
ცვირკა პ. — ბულბული, № 5.
ტალიაშვილი ი. — აქილევსი; აგრესორი, № 6; სახელი, № 12.
ბეზარაშვილი ნ. — სამახსოვრო, № 6.
ტყეგუჩავა დ. — წვიმამ გადაიარა ქალაქზე, № 6.
მათეგოსიანი ჰ. — პური, № 6.
ჭეიშვილი ბ. — ეხტატე, № 7.
ტაბაღუა ზ. — საპატიო გაცდენა, № 7.
როდარი ჯ. — რკინის ღობის სიმღერა, № 7.
ელერდაშვილი ა. — ჯუნგა, № 8.
ანდრონიკაშვილი ნ. — მართვე უბრუნდება ბუდეს, № 8.
მიმრიკი ე. — მდინარე ბიტენკის იქით, № 8.
ბაზანი ვ. — ძალა არაფრისაგან, № 8.
ლორია ა. — კვამლი მთაში, № 9—12.
უაილდი ო. — თავკერძა გოლიათი, № 9.
კლატონოვი ა. — უსახელო ყვავილი, № 9.
ქიაჩელი ლ. — სიკოს ხვედრი ოქრო, № 10.
ნავროზაშვილი ალ. — ოინი, № 10.
რაბი დავით ილიანი — შეგონებანი, № 10.
რანაპი ი. — დახასიათება, № 10.
ფომინი ა. — ასეთი იყო ჩვენი ბელადი, № 11.
კრაუზე ჰ. — მეფე კალე, № 11.
ჭიჭინაძე ბ. — საახალწლო ზღაპარი, № 12.
მიროშნიჩენკო ვლ. — დაბრუნებული ნიჭი. № 12.

პიონერული ცხოვრება

შანიძე ნ. — გზა მეტალურგიული ქარხნისაკენ, № 1.
მიროშნიჩენკო ვლ. — უძლეველი და ლეგენდარული, № 2.
გელაშვილი მ. — ამის იმედი აქვს ქვეყანას, ხალხს, № 2; იმ დღეს ყველაზე ბედნიერი ვიყავი, № 7; ხიხარულის მომტანი 24 დღე, № 8; ცოდნას მოწყურებულთა სახახლე, № 12.
კარგარეთელი მ. — საკავშირო პიონერული შეკრების ხაზზე, № 3; მომავალი წარმატებების საწინდარი, № 5; ოცნების ცისფერი მატარებელი, № 12.
რუსაძე ნ. — ისევ გვეყოლებიან ჩემპიონები, № 3.
ხარაზიშვილი ნ. — ღონე ქვეყნისა და კაცისათვის, № 4; ძნელად ახახდენი ოცნება, № 6.
ასლამაზიშვილი ვ. — მიხო პაპას ტყე, № 5.
ფავლენიშვილი ნ. — გმირთა ხსოვნის უკვდავსაყოფად, № 5; გრაციათა სამყაროში, № 7.
ცაგარელი თ. — ბუნების ხორჩი ქომაგები, № 6; კარგი ხარ, ბანაკო, № 9.

აფხაზავა ნ. — პიონერულ სიტყვას არ ეღალატების! № 7.
ფაილოძე ნ. — მკერდზე თემურის ვარსკვლავი სამშობლოს ერთგულების ნიშანია, № 10.
მეტრეველი თ. — „...და დამიწყებსცა სიყვარულით ძგერასა გულ“, № 11.

წერილები, მოგონებები, ვიქტორინა, სხვა მასალები

არკადი გაიდარი — 80, № 1.
ჩხარტიშვილი ა. — პეტრიწონის მონასტერი, № 1; სახახლე ძაღინაში, № 2; ერთაწმინდის ტაძარი, № 7; გიორგი საკაძის კოშკი ნოსტეში, № 12.
კარგელაშვილი ა. — იქნებ თქვენც გახდეთ კონსტრუქტორები? № 2; ავტომატური ტელეფონი დღეს და ხვალ, № 10.
ჰათჰა-იოგა გვირჩევს, № 2, 3,
ვის როგორ სძინავს, № 2.
დეკანოიძე ნ. — დეიდა ეუეუნა, № 3.
როდიონ ქორქია
ერქომაიშვილი ნ. — კარგი საფუძველი, № 3.
შუდრა ო. — ოპტიკური ილუზიები, № 3.
კარგარეთელი მ. — სკოლა მთაში, № 4.
სიდამონიძე ვ. — ივანე კოტორაშვილის გმირობა, № 4; დიერ ჯანდიერი, შავერდა მღებრიშვილი, № 9.
ანდრეევი ი. — ჩვენი ფრთოსანი მეგობრები, № 4, 7, 11.
გამყრელიძე ა. — კვლავ თამბაქოს მავნებლობაზე, № 4.
ვიქტორინა-კონკურსი. № 5 , 6, 9.
შეწირული ლ. — თქვენზე ფიქრითა და ზრუნვით, № 6.
გელაშვილი მ. — რომ მათ სახეზე ღიმილი ჰყვაოდეს, № 6.
გეგეჭკორი ა. — ხიბლი სამშობლოს მშვენებისა, № 6; ბუნების ფერების ესთეტიკა, № 9, 10; ჯადოსნური დირიჟორის წკირი, ანუ ბგერები ბუნებაში და სმენის ესთეტიკა, № 12.
ბარჯაძე გ. — თამაში ოვალური ბურთით, № 6; კარტინგი, № 10.
რევაზ მარგიანი — № 7.
ექიმის საუბარი — № 7.
სახელოვან ადამიანთა ეპიტაფიები — № 7, 9.
ჭუმბურიძე ზ. — მადლმოსილი შემოქმედი, № 8.
კილასონია ნ. — წყარომ მიმღერა, № 8.
გელაშვილი ლ. — ჯუჯა და გოლიათი თევზები, № 8; უცნაური თევზები, № 9.
ჭიჭინაძე უ. — ზურგის ქარს გისურვებთ, ბიჭებო! № 9.
კვირიკაშვილი ჯ. — პური ჩვენი არსობისა, № 9.
ჯალაღანია თ. — ჩვენი საგამოფენო დარბაზი, № 9, 11, 12.
თემურელთა მე-3 საკავშირო შეკრების მონაწილეთა მიმართვა № 10.
დიდიმამიშვილი ე. — მარად ახლობელი პოეტი, № 10.
მეგობრობისა და სოლიდარობის დიდი ზეიმი, № 11.
კუტუბიძე ლ. — სიჭაბუკის განუყრელი თანა- [illegible] № 11.

განყოფილებები

ეიხი — № 1—12.
კოცონი — № 1—6, 10—12.
შევკრიბოთ ხალხური საუნჯე, № 8.
ბუნების კარი — № 1, 2, 4, 7, 8, 10, 11, 12.
მხედრიონი — № 1, 3, 7, 8, 11.
ჯადოსნური სარკე — № 1—11.
ცხრაკლიტული — № 1—12.
იუმორი — № 2, 5, 7, 9, 10, 11, 12.
ახალი წიგნები — № 2, 6, 8, 11.
ფოკუსის მიღმა — № 2, 4.
ხახალიხო ფიზიკა — № 3, 5, 9, 12.
საინტერესო სიახლენი — № 5, 11, 12.
გამოგადგები — № 6—11.
საინტერესო თემაზე — № 9.

საძიებელი

მესამე ლენინის ორდენი საქართველოს დროშაზე . . . გარეკ. 2
მ. გელაშვილი — ცოდნას მოწყურებულთა სასახლე (ნარკვევი) 1
მ. კარგარეთელი — ოცნების ცისფერი მატარებელი (წერილი) 4
ა. ლორია — კვამლი მთაში (მოთხრობა, დასასრული) . . 5
გ. ჭიჭინაძე — საახალწლო ზღაპარი (პიესა) 10
ვ. გოგოლაშვილი — უნდა გაბედო; ნია (ლექსები) . . . 14
ი. ტალიაშვილი — სახელი (მოთხრობა) 14
ეიხი 16
ვ. მიროშნიჩენკო — დაბრუნებული ნიჭი (მოთხრობა) . . 19
უცხოური იუმორი 25
კოცონი 26
თ. ჯალაღანია — ტიციანი (წერილი) 27
ა. ჩხარტიშვილი — გიორგი საკაძის კოშკი ნოსტეში (წერილი) 28
ა. გეგეჭკორი — ჯადოსნური დირიჟორის წკირი, ანუ ბგერები ბუნებაში და სმენის ესთეტიკა (წერილი) 28
ხახალიხო ფიზიკა 30
საინტერესო სიახლენი 30
ჟურნალ „პიონერის“ წლიური საძიებელი 31
ცხრაკლიტული . . . . . გარეკ. 3

გარეკანის 1-ლი და მე-4 გვერდების მხატვრობა ელისო ცაგაძისა.

მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია

სარედაქციო კოლეგია: ნუგზარ აფხაზავა, ზურაბ გოცვაძე, ავთანდილ გურგენიძე, დოდო ვადაჭკორია, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი), გიორგი ქლიბაძე, რობერტ ღარიბაშვილი, ნოდარ შამანაძე, სიმონ შამფრიანი (პ/მგ. მდივანი), ლიანა შეწირული, ზურაბ წვერიკმაზაშვილი, ზურაბ ჭუმბურიძე.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 93-97-05, 93-31-81, პ. მგ. მდივნის—93-97-03, 93-53-05, განყოფილებების—93-97-02, 93-97-01 გადაეცა ასაწყობად 26. 10. 84 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 24. 12. 84 წ., ქაღალდის ფორმატი 60×90 1/3. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. საალრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,35, შეკვ. № 2446. ტირაჟი 156.000 ეგზ., უე 08361.

თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.

«Пионери», журнал ЦК ЛКСМ Грузии и Грузинского Республиканского Совета Всесоюзной пионерской организации имени В. И. Ленина для школьников. Выходит один раз в месяц на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Адрес редакции: 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Отпечатано в типографии издательства ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Формат 60×90 1/3, учетно-изд. л. 4, усл. печ. л. 5,35.
Тираж 156.000 экз. Цена 20 коп.

© „პიონერი“, 1984 წ.

კროსვორდი



თარაზულად: 1. მგალობელი ფრინველი; 3. სპორტული თამაში; 5. გარეული ფრინველი; 8. საარტილერიო ქვეგანაყოფი, რომელსაც აქვს რამდენიმე ქვემეხი; 11. სასვეგუნდი; 15. ტროპიკულ ამერიკაში გავრცელებული მაჯრჩობელა გველი; 16. თმის საღებავი; 17. იაპონური ფულის ერთეული; 18. აზიის ქვეყანა; 20. მტაცებელი ფრინველი; 21. ძვირფასი ქვა; 22. საქართველოს მდინარე; 26. თვალის ფერადი გარსი; 28. კავკასიონის მწვერვალი.

შვეულად 2. გეომეტრიული სხეული; 3. ინდური ფულის ერთეული; 4. ლატვიის ქალაქი; 6. ძვირფასი ლითონი; 7. ე. ნინოშვილის „პალიასტომის ტბის" პერსონაჟი; 8. დეკორატიული მცენარე; 9. სუბტროპიკული მცენარე; 10. ბალახოვანი ტროპიკული მცენარე; 11. მზის სისტემის პლანეტა; 13. გარეული ცხოველი; 19. წვრილფოთლოვანი მარადმწვანე მცენარე; 23. განათებულობის საზომი ერთეული; 24. ბოსტნეული მცენარე; 25. საბრძოლო იარაღი ძველად; 27. სპორტული პრიზი; 29. ფირნიში.

შეადგინა მიხეილ გოლჭვაძემ, მახარაძის რაიონის ზემო ნატანების საშუალო სკოლა, VII კლასი.

შარადები

ფირუზივით ელვარე,
სურნელებით განთქმული, —
ამ ყვავილით იწყება
დედაენა ქართული.
არც ყვავილთა დედოფლის
პოვნა გაგიჭირდება,
ოღონდ სიტყვას თავიდან
ორი ბგერა სცილდება.
ერთად — სიგრძის საზომი
ერთეული იქნება.

●

ჩამქრალი ნაკვერცხალია,
გაგახსენდება წამში;
თუ შუა ბგერას მოაკლებ,
სხვა სახელია მაშინ. —
მწყემსმა სოფლიდან გარეკა,
რომ აბალახოს მთაში.

შ. ამირანაშვილი

გამოცანები

შობილი ღრუბლის უბიდან
ვეშვები სიმთა ულერით,
მზით ცისარტყელა ავაგე,
ნაქარგი შვიდი ფერით.
უკანასკნელი სავანე
დედამიწაა მთელი.
ადამიანი ხან მნატრობს,
ხან კი ჩემს წასვლას ელის.

●

მზე ელვარებს მცხუნვარე,
დღე საგრძნობლად იზრდება,
ვარდი ყვავის საამოდ,
და თავთავი მწიფდება.

წლის რომელი დროც არის,
ყველა უმალ მიხვდება.

●

ჯერ ზურმუხტივით ხასხასებს,
მერე ოქროსფრად ელავს,
ზოგი წითლადაც ანათებს,
პასუხს მიაგნებ ხელად.

●

სასარგებლო მცენარეა,
გიგანტია ტანად,
ეთეროვან ზეთებს გვაძლევს,
ჭაობს აშრობს თანაც.
სიცოცხლის ხეს უწოდებენ,
არ გინახავს განა?!

●

თუ კარგად დაუკვირდები,
მიხვედრა ძნელი არ არის
თანატოლ მზისფერ ძმობილებს
არტყია ერთი ქამარი.

●

თუმცა უყურო არის,
აქვს საოცარი სმენა,
მეტყველებს კიდეც, მაგრამ
არ გააჩნია ენა,
თუკი გასძახებ რამეს,
გაიმეორებს ხელად.

შ. ზოთაძე

მხატვრის ღიმილი



მხატვრის ღიმილი

პეტრიაშვილი

პასუხი № 11-ში მოთავსებულ „ცხრაკლიტულზე"

კროსვორდი

თარაზულად: 5. პიონერი, 6. სექტორი; 7. მელეხოვი; 8. ანატომია; 10. ატამი; 12; ანთეუსი; 13. ლისტი; 17. დასტური; 18. სანგარი; 19. ბერიტაშვილი; 22. ნიტრატი; 23. ანაბარი; 26. დიუმა; 27. პავლოვი; 28. გირაო; 29. მატადორი; 30. ავანზალი; 31. ჩკალოვი; 32. ოლიმპია.

შვეულად: 1. დიპლომატი; 2. ერევანი; 3. ბერნესი; 4. კრამლინგი; 9. ბერიკაშვილი; 11. ტრამპლინი; 14. ტერიტორია; 15. პროექტი; 16. ნაილონი; 20. გრამატიკა; 21. ობლიგაცია; 24. შატროვი; 25. ყვავილი.

გამოცანები

მაცივარი, მორიელი, ლავა, გაყაყი, ქვევრი, ცოცხი, ესკალატორი, ყინულის ლოლუა!

შარადა
პეტრიწონი.

ფასი 20 კაპ.

61/10

ინდექსი 76157